# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 დეკემბერი 2005 №280 (2603) ფასი 50 თეთრი


# დღეს განთესენ და პარასკევს მოიმკიან

## მუნდიალის ჩიპი მოჭრეს

საფეხბურთო სამყარო თანდათან იმუხტება ტრადიციული და დიადი ენერგიით: დღეს, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი განთესავს იმ 32 გუნდს, რომელთაც პარასკევს, 9 დეკემბერს, წილს უყრის და ჯგუფებად დაანაწილებს. განთესვის და მისი სავარაუდო პრინციპის შესახებ დაწვრილებით მეექვსე გვერდზე იხილეთ, აქ კი ფიფას ოფისიდან გავრცელებულ კიდევ ერთ ცნობას მოგაწვდით — გერმანია 2006-ზე „ადიდასის" მიერ „კაიროს AG"-სა და „ფრაუნჰოფერ ინსტიტუტთან" ერთად დამუშავებულ ჩიპიან ბურთებს არ გამოიყენებენ. პერუში 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ტექნოლოგიას ჯერ კიდევ სჭირდება სრულყოფა. ხსენებული ტექნოლოგია იმიტომ შემოაქვთ, რომ ბურთის მიერ ხაზის გადაკვეთა ზუსტად დაფიქსირდეს.



გერმანელი მოდელი ჰეიდი კლუმი კენჭისყრის ცერემონიალს წარუძღვება

# ამერმა გაზაფხული ბოლნისში ნახა

## ჩიკვილაძე, დოლიძე და ბოლქვაძე სიონს მადლობით დაშორდნენ



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# რატი, ჯერ არ ხარ რეტი

რამდენიმე ნაცნობმა გვითხრა, „ჯეობარს“ ვუყურებდით და რატი წინამძღვრიშვილი ვნახეთ, ბარში იყო მისულიო.

ბარში ყოველდღე ბლომად ხალხი მიდის და დროს ატარებს — ჩვეულებრივი ამბავია. თუმცა რატის მისვლამ დაგვაინტერესა, ბოლოს და ბოლოს, მისი სახელი იმდენჯერ დაიწერა ჩვენს სპორტულ გაზეთებში, რომ...

რატი წინამძღვრიშვილის მინი-დოსიე:

დაიბადა 1988 წლის 22 მარტს. თამაშობს თბილისის „ამერში“. წინა სეზონში მან 34 გოლი გაიტანა რეგიონულ ლიგაში, 11 გოლი კი პირველ ლიგაში. მისი გოლებით საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ლინიანოს ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული გახდა. მისი გოლებით საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი წარმატებით გადალახა. მისი გოლით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ყაზახი თანატოლები დაამარცხა. რატიმ ორჯერ შეცვლაზე, ითამაშა საქართველოს ეროვნული გუნდის შემადგენლობაშიც.

დაგვეთანხმებით, 17 წლის ბიჭისთვის დოსიე საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება, თუმცა...

რატი, კარგა ხანია, თავისი გუნდის 18-კაციან განაცხადშიც ვეღარ ხვდება, „ამერი 2“-ს შემადგენლობაში პირველ ლიგაში თამაშობს და ვარსკვლავებს იქაც ვეღარ წყვეტს.

ახლა მივუბრუნდეთ „ჯეობარის“ ზემოხსენებულ გადაცემას, რომლის ჩანაწერიც გუშინ ინტერნეტში ვნახეთ და რამდენჯერმე გადავახვ-გადმოვახვიეთ.

...რატი ბარში მეგობრებთან ერთად ზის, სიგარეტს გემრიელად აბოლებს და ბარელ გოგონას ქალაქურად ეფიცება, „ოლიმპიაკოსში“ ვთამაშობ და ჩემი ..., პირველი ნაკრების ფეხბურთელი თუ არ ვიყოო.

მოკლედ, ბარში თვალნათლივ გამოჩნდა ის, რასაც ფეხბურთში ჩახედული ხალხი რამდენიმე თვეა, ამტკიცებს — წინამძღვრიშვილს ვარსკვლავური სენი შეეყარა და ამიტომაა, რომ ვეღარ თამაშობს, თორემ „ამერის“ მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე მტერი ხომ არ არის, ნიჭიერ ბიჭს სათადარიგოთა სკამზეც რომ არ სვამსო.

სიგარეტიც ვახსენეთ. თავადაც გვინახავს თბილისში ჩამოსული იტალიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი როგორ აბოლებდა სასტუმროს ფოიეში, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა შედარება უადგილოა — იმ იტალიელებს (რობერტო ბაჯოს, პიერლუიჯი კაზირაგის, ფილიპო ინძაგის, ჯანლუკა ძამბროტას) დიდი ხნის დამტკიცებული ჰქონდათ თავისი დიდი ფეხბურთელობა.

მეტი რაღა ვთქვათ. მწარედ შეცდა გაიოზ დარსაძე, როცა თქვა, ყმაწვილი ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებში გამოძახებით ფასდაუდებელ გამოცდილებას მიიღებენო. უფრო სწორად, რატის შემთხვევაში შეცდა — სხვებზე აქ ვერაფერს გეტყვით.

იმას კი მოგახსენებთ, რომ ბატონი გაიოზის მიმართ ამ სიტყვებს ნიშნის მოგებით ნაღდად არ ვამბობთ, რადგან ძალიან სამწუხარო ფაქტთან გვაქვს საქმე — 17 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი დიდი ფეხბურთის თამაშის ბრწყინვალე შანსს დღითიდღე კარგავს.

**სარბიელელები**






ბოლნისის „სიონი“ მეორე წრიდან ახალი გუნდი იქნება — ამას წყალი არ გაუვა. ქვემოქართლელთა რიგები სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა — გრიგოლ დოლიძემ, თენგიზ ჩიკვილაძემ და დავით ბოლქვაძემ — დატოვა. დიდი შანსია, ეს სია კიდევ გაიზარდოს, რადგან ლევან ხმალაძე, გიორგი ქუცურუა და ჯაბა დვალი, რომლებიც თბილისის „დინამოს“ ეკუთვნიან, „სიონთან“ ახლახან დაუმთავრდათ განათხოვრების ვადა და...

# დაცლილი და იმედიანი სიონი

## ბოლნისში უკრაინელი ლეგიონერები ჩავლენ?

მაინც რა მოხდა, რატომ შემოეცალნენ „სიონს“ ლიდერები? ადრეც ბევრჯერ დაგვიწერია, რომ კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ფეხბურთელები კმაყოფილნი იყვნენ „სიონში“ არსებული პირობებით, რაც მხოლოდ და მხოლოდ ბოლნისის რაიონის გამგეობის დამსახურება იყო. შეიძლება ითქვას, მოთამაშეთა მიგრაციის მიზეზი სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ პირის გატეხვის ბრალიც იყო — „მადნეულის“ ძველი ხელმძღვანელობა დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებდა და 300 ათას ლარზე მეტი დავალიანება დაუგროვდა კლუბის მიმართ.

რუსული ფირმა „პრომინვესტი“ კი „მადნეულის“ პაკეტს 15 დეკემბერს მიიღებს, აქედან რამდენიმე დღეში კი ისინი პარტნიორთა კრებას გამართავენ. „პრომინვესტი“ „სიონის“ გაძლიერებითაა დაინტერესებული და, როგორც ბოლნისური კლუბის დირექტორმა გია აბაზაძემ გვითხრა, ოთხი უკრაინელი ახალგაზრდა ფეხბურთელის ჩამოყვანაც იგეგმება.

„თუ ყველაფერი უკეთესობისკენ წავა, უკრაინელები იანვარში ჩამოვლენ, ჯერჯერობით კი გაურკვევლობაში ვართ. „პრომინვესტისა“ და რაიონის გამგეობის კლუბისადმი პროცენტული წილი როგორ გადანაწილდება, არ ვიცი. „პრომინვესტი“ თუ მოითხოვს, გამგეობა გარკვეულ დათმობაზე წავა, ოღონდ, მანამდე „მადნეულის“ ძველი ვალები უნდა დაიფაროს“.

გია აბაზაძის თქმითვე, 25 დეკემბრამდე „სიონის“ ძირითადი ბირთვი ჩამოყალიბებული იქნება, მოლაპარაკებები იმართება რამდენიმე ფეხბურთელთან და წასულებს არანაკლებ კარგი მოთამაშეებით შევცვლითო.

„ერთი-ორი ალანიელი ქართველის დამატებაც გვინდოდა, მაგრამ კლუბში სიტუაცია დასალაგებელია. სამაგიეროდ, „დინამო“ იწვევს ლადო ბურდულსა და ჯაბა კანკავას და, იმედია, მათ გადაიბირებს კიდეც. ეს კი იმ მხრივ წაგვადგება, რომ ეგებ „დინამოს“ ჩვეთან განათხოვრებული ფეხბურთელები არ მოითხოვოს. „დინამო“ 19 დეკემბერს იკრიბება, მანამდე ჩვენც მოლაპარაკებებს გავმართავთ და ვნახოთ, რა გამოვა“ იმედიანადაა გია აბაზაძე.

რაც შეეხება თბილისის „ამერში“ გადასულ სამეულზე, აბაზაძეს თენგიზ ჩიკვილაძის ტრანსფერი გაუკვირდა, ჩიკვილაძესთან ახალი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაცია 23 000 დოლარის გადახდას გვავალებდა, ეგ თანხა აქვს „ზესტაფონს“ ამ ფეხბურთელებში დახარჯულიო.

**ილია ნანობაშვილი**

# კალაძე რომამაც რომ ინდომა...

## ჯერ ძებინაო, ახლა კივუო




კახა კალაძის გარშემო კიდევ ერთი იტალიური კლუბი ამოტივტივდა — „რომა“: „კიევოსთან“ 1:2 წაგების შემდეგ „როსონერის“ ხელმძღვანელობა დაცვის გაძლიერებაზე სერიოზულად დაფიქრდა და რომაელი რუმინელი კრისტიან კივუს შეძენა მოინდომა.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი თავადვე ამბობს, რომაელებს კივუსა და ხორვატი დარიო შიმიჩის გაცვლა შევთავაზეთ, თან ფულსაც დავამატებთო. და რა იყო „რომას“ პასუხი? მათ თურმე შიმიჩის ნაცვლად კახა კალაძე სურთ, გალიანიმ კი თქვა, დავფიქრდებითო.

კივუს „რომადან“ წასვლა უნდა, მაგრამ საინტერესოა, კალაძე და „მილანი“ თუ დაყაბულდებიან ამგვარ ბარტერს.

შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრების კაპიტნის „იუვენტუსის“ ფრანგ მცველ ჯონათან ძებინაში გაცვლაზეც ალაპარაკდნენ.

**ილია ნანობაშვილი**

**საბერძნეთი**
ეროვნული ლიგა. XII ტური
პანიონიოსი 0:2 ქსანთი

**ინგლისი**
პრემიერლიგა. XV ტური
ბირმინგემი 1:2 ვესტ ჰემი

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. XV ტური
დინამო 1:1 კოტბუსი

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. XVIII ტური
ლე ავრი 2:2 ბასტია

**იტალია**
სერია B. XVIII ტური
ატალანტა 3:1 კატანძარო

**პორტუგალია**
სუპერლიგა. XIII ტური
ბიმარაეში 0:3 ლეირია

# ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება

*ჩემპიონატის პირველი წრე ერთი კვირის წინ დასრულდა, თბილისის „ამერი“ კი საქმეს უკვე შეუდგა და გუშინ ერთბაშად სამი ფეხბურთელი დაიმატა. სამივე ისეთია, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გამორჩეულნი რომ ეთქმით და სამივე კონკურენტ ბოლნისის „სიონისგან“. მაშ ასე: 22 წლის განაპირა მცველი თენგიზ ჩიკვილაძე, 23 წლის განაპირა ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე და 25 წლის გამთამაშებელი დავით ბოლქვაძე უკვე „ამერის“ ფეხბურთელები არიან. ჩიკვილაძემ და დოლიძემ „ყვითლებთან“ ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტები გააფორმეს, ბოლქვაძემ — სამიანი. გუშინვე სამივე ჩვენი სტუმარი იყო...*



*ერთი თვის წინ თენგიზ ჩიკვილაძის ირგვლივ დიდი ამბავი იყო ატეხილი. ჩიკვილაძე სეზონის დაწყებამდე „ზესტაფონმა“ გაათავისუფლა, ბოლნისში ჩავიდა და „სიონთან“ ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა. რამდენიმე ტურის შემდეგ „ზესტაფონმა“ მისი დაბრუნება მოითხოვა, ფეხბურთელი ჩვენ არ გაგვითავისუფლებია, გავანათხოვრეთო. „სიონი“ თენგიზ ჩიკვილაძის დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებდა და მთელი პირველი წრე ეს ფეხბურთელი სათავისოდ გამოიყენა, მერე კი...*

## რა თქმა უნდა, ჩემპიონობა

— „ზესტაფონში“ თემურ მახარაძემ მიმიწვია და ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ყველაფერი კარგად იყო, გუნდი თასის ფინალში გავიდა, თავად კი ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ვთამაშობდი, თანაც ახალგაზრდულ ნაკრებში ვიყავი. სეზონის დაწყების წინ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „ზესტაფონში“ გაიოზ დარსაძე მოვიდა, მე კი მეორე გუნდში გადამიყვანეს. მახარაძეს ვკითხე, რა ხდება-მეთქი. მან, ვერაფრით დაგეხმარებიო, მიპასუხა. მივხვდი, ყველა გზა დარსაძისკენ მიდიოდა. ბოლოს გავარკვიე, რომ დარსაძეს არ ვჭირდებოდი და „ზესტაფონიდან“ გათავისუფლების თხოვნით მივმართე გენერალურ დირექტორ დავით აბაშიძეს, რომელიც პრეზიდენტ ილია კოკაიას დაუკავშირდა. პრეზიდენტმა უთხრა, როგორც ფეხბურთელს სურს, ისე გააკეთეო — „ზესტაფონიდან“ წასვლა მსურდა და აბაშიძემაც შესაბამისი საბუთი მომცა. ასე წავედი „სიონში“, სადაც ექვსთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. მოგვიანებით „ზესტაფონმა“ ჩემი დაბრუნება მოინდომა, მაგრამ უკვე „სიონის“ ფეხბურთელი ვიყავი, არც კლუბმა გამიშვა და არც თავად მქონდა ამის სურვილი.

**— ახლა კი „ამერში“ გადახვედი. „ზესტაფონიდან“ რაიმე პრობლემა ხომ არ გექნება?**

— რატომ უნდა მქონდეს?! თავისუფალი ფეხბურთელი ვიყავი და „ამერთან“ კონტრაქტიც ჩემი ნებით გავაფორმე. „ზესტაფონიდან“ ჩემი გათავისუფლების საბუთი არსებობს და ეს ფეხბურთის ფედერაციაშიც კარგად იციან.

**— „სიონიდან“ რომ წახვედი, გული არ დაგწყდა?**

— როგორ არა... ძალიან კი გამიჭირდა „სიონის“ დატოვება, მაგრამ ჩემთვის ასე ჯობდა. ყველა ბოლნისელს, კლუბის ხელმძღვანელობით დაწყებული ქომაგით დამთავრებული, ყურადღებისთვის დიდ მადლობას ვუხდი.

**— „ამერთან“ კონტრაქტის გაფორმებამდე დიდხანს იფიქრე?**

— არა, ვიცოდი როგორ გუნდშიც მივდიოდი. „ამერში“ ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს და მათგან ამ გუნდზე ბევრი მსმენოდა. „ამერი“ ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია საქართველოს ჩემპიონატში და მეც კმაყოფილი ვარ.

**— უცხოეთში წასვლაზე არ გიფიქრია?**

— მიფიქრია, მაგრამ ამ ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატში სათამაშო პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და აღარ ვჩქარობ. არ მსურს, წავიდე და მერე სათადარიგოთა სკამზე აღმოვჩნდე. ჩემი აზრით, ახალგაზრდებმა საქართველოს ჩემპიონატიდან წასვლა არ უნდა იჩქარონ. თუ ყველა წავიდა, დონე როგორ ამაღლდება?!

**— „ამერთან“ ერთად რისი იმედი გაქვს?**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონობის. თუმცა „დინამო“, „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“ ძლიერ კონკურენტებად მიმაჩნია.

**— „სიონი“?**

— „სიონს“ მეორე წრეში ჩინებული კალენდარი აქვს — ყველა ლიდერს მასპინძლობს. თუ გუნდი შეიკრა და ფეხბურთელები დაიმატა, ჩემპიონობისთვის ბრძოლასაც შეძლებს.



*გრიგოლ დოლიძე ერთ-ერთი გამორჩეული მარჯვენა ნახევარმცველია და ალბათ, ჩემპიონატში ყველაზე სწრაფიც. პირველ წრეში მან 6 გოლი გაიტანა და „სიონის“ წარმატებაც დიდწილად მისი დამსახურებაა. თუმცა ახლა დოლიძე უკვე „ამერისთვის“ გატანას ეცდება...*

## დასამტკიცებელი, ეტყობა, კიდევ მაქვს

**— „ამერში“ როგორ აღმოჩნდი?**

— დამიკავშირდნენ და გადასვლა შემომთავაზეს. სხვა გუნდებიდანაც მქონდა წინადადებები, მაგრამ „ამერი“ ვარჩიე და ვფიქრობ, სწორიც გავაკეთე. კარგ გუნდში გადავედი და მსურს, ჩემთან ერთად „ამერმა“ წარმატებას მიაღწიოს. მართალია, „სიონიდან“ წამოსვლა გამიჭირდა, იქ ვცხოვრობდი და გულით და სულით ბოლნისში ვიყავი, მაგრამ რაც უნდა იყოს, „ამერი“ დედაქალაქის გუნდია და თანაც ძალიან პერსპექტიული.

**— როგორ ფიქრობ, კარიერაში საუკეთესო სეზონი გაქვს?**

— წინა ჩემპიონატის მეორე წრიდან დღემდე ჩატარებული თამაშები ჩემთვის მართლაც გამორჩეულია. თავს აშკარა პროგრესს ვატყობ, მაგრამ გაჩერებას არ ვაპირებ, კიდევ უნდა მოვუმატო. ვგრძნობ, გაცილებით მეტი შემიძლია, რასაც ახალ გუნდში დავამტკიცებ და იმედი მაქვს, ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებას დავიმსახურებ.

**— ისე, ნაკრებიდან არავინ დაგკავშირებია? თითქოს ამხანაგური მატჩებისთვის აპირებდნენ შენს მიწვევას...**

— ეს მეც გავიგე, გუნდში მითხრეს, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებს არაფერი უთქვამთ და... არადა, ძალიან კი მსურს ეროვნული გუნდის მაისურით თამაში. ეტყობა, კიდევ ბევრი მაქვს დასამტკიცებელი.

**-- წლეულს შენი საუკეთესო თამაში რომელი იყო?**

— ალბათ, „ზესტაფონთან“ სტუმრად — გოლიც გავიტანე და ჩემი თამაშითაც კმაყოფილი დავრჩი.

**— „ამერში“ ბევრი მეგობარი დაგხვდა?**

— „სიონიდან“ ერთბაშად სამნი გადავედით ამ გუნდში და ესეც რომ არა, გიორგი დეკანოსიძესთან, გიორგი კვახაძესთან და ალეკო კოშკაძესთან აქამდეც ვმეგობრობდი. დავით სევასტოპულოსთან ერთად კი „მერცხალში“ მითამაშია.



*15 ტური და შვიდჯერ „სარბიელის“ სიმბოლურ ნაკრებში — დავით ბოლქვაძე პირველ წრეში „სიონის“ ლიდერი გახლდათ და ტყუილად როდი შეაბეს კაპიტნის სამკლავურიც. მას ბევრი გოლი არ გაუტანია, მაგრამ „სიონის“ გოლების უმეტესობა სწორედ ბოლქვაძის იდეალური პასების შედეგი იყო.*

*ისე, დავით ბოლქვაძის გადაბირება „ამერს“ შეიძლება პოლიტიკურ ნაბიჯადაც ჩაეთვალოს. „ყვითლების“ ეს ტრანსფერი ორი კურდღლის ვარიანტი გამოვიდა — „ამერმა“ კონკურენტი დაასუსტა და თავად გაძლიერდა. და კიდევ: ბოლქვაძე და კოშკაძე, ძმადნაფიცები, ახლა ისევ ერთად არიან...*

## გოჩა და ხვიჩა ისევ ერთად

— ჩვენი გზები „ტორპედოს“ შემდეგ გაიყო: „კოშკა“ „ამერმა“ მიიწვია, მე — „სიონმა“, თუმც ჩვენი ძმაკაცობა წუთითაც არ შეწყვეტილა. ვიდრე „სიონში“ ვიყავი, ალეკო ყოველდღე მირეკავდა და „ამერში“ გადასვლაზე მელაპარაკებოდა. ახლა კი ბედნიერი ვარ, რომ ისევ ერთ გუნდში ვითამაშებთ. ჩვენ ერთმანეთისა მართლაც უსიტყვოდ გვესმის. ბოლნისში ხუმრობდნენ კიდეც, ხვიჩა და გოჩა ერთმანეთს როგორ დაშორდითო.

**— თქვენი დუეტი მეტოქეებს, ალბათ, ბევრ პრობლემას შეუქმნის...**

— თანაც სულიკო დავითაშვილიც ხომ „ამერშია“?!

— ქუთაისური ტრიო...

— დიახ, როცა „ტორპედოში“ ერთად ვთამაშობდით, მეტოქეებს მართლაც ბევრი თავსატეხი ჰქონდათ.

**— „ამერში“ გამთამაშებლის პოზიციაზე გიორგი დეკანოსიძე დაგხვდება. რას იტყვი, ძლიერი კონკურენტი გეყოლება?**

— ძალიან ძლიერი. გიორგი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ კონკურენცია არ მაშინებს, პირიქით, ფეხბურთელისთვის ეს აუცილებელია. ისე კი, შეიძლება ორივემ ერთად ვითამაშოთ და მეტოქეს შუიდან შევუტიოთ.

**— „სიონიდან“ რატომ წახვედი?**

— კონტრაქტი დამიმთავრდა. დიდი მადლობა ბოლნისელებს და მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილს. მისი დამსახურებაა, „სიონმა“ რომ ასე კარგად ჩაატარა პირველი წრე და დარწმუნებული ვარ, „სიონი“ მეორე წრეშიც კარგი გუნდი იქნება. კი, „სიონს“ სურდა, რომ კონტრაქტი გამეგრძელებინა, მაგრამ... რას იზამ, ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება. იმედია, სწორი არჩევანი გავაკეთე.

**— როგორ ფიქრობ, ჩემპიონატის დონე წლეულს ამაღლდა?**

— შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად ამაღლდა. ჩემი აზრით, 16-გუნდიანი ჩემპიონატი უკეთესია. უფრო ბევრი თამაშია და ერთი-ორი მატჩის ჩაუთვლელად, ყველა ქულა ბრძოლით მოსაპოვებელია. თანაც, კარგია, რომ ყველა მატჩი თბილისში არ არის, რეგიონებში ფეხბურთი გაცოცხლდა და სტადიონზე ქომაგმაც იმატა. რეგიონში თამაშს თავისი ეშხი აქვს.

**— ჩემპიონობის ფავორიტებად რომელი გუნდები მიგაჩნია?**

— „დინამო“, „ლოკომოტივი“, „ამერი“ და „სიონი“.

**— „ვიტ ჯორჯია“ გამოგრჩა...**

— არ გამომრჩა, „ვიტ ჯორჯიას“ არ ვთვლი ფავორიტად. ეს გუნდი, მართალია, ახლა პირველ ადგილზეა, მაგრამ ქულებში სხვაობა მინიმალურია. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიას“ „დინამოსა“ და „ამერის“ კონკურენტად არ მივიჩნევ.

**— ფაქტია, ახლა ლიდერია...**

— საკმარისია, „ვიტ ჯორჯიამ“ ერთი თამაში წააგოს, ფსიქოლოგიურად გატყდება.

**ქობა ინასარიძე**



ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-14 ტურში ალკმაარელმა შოთა არველაძემ „ჰერენვენს“ მატჩის პირველ წუთზე გაუტანა გოლი და ერედივიზიონის საუკეთესო მეგოლეა 13 ბურთით. ეს შოთას კარიერაში უსწრაფესი გოლი იყო? ვინ არიან მისი მდევრები ბომბარდირთა დავაში?

# შოთა და მდევრები

## მთავარია სპეციფიკა, ანუ კატანეცი

„მატჩის ოქმში დაწერეს, რომ „ჰერენვენს“ გოლი 26-ე წამზე გავუტანე, „ალკმაარში“ კი მითხრეს, რომ 25-ეზეო, მაგრამ ეს ჩემი უსწრაფესი გოლი მაინც არ უნდა იყოს — თუ არ ვცდები, „აიაქსში“ თამაშისას პორტუგალიურ „მარტიმუს“ უეფას თასზე 24-ე წამზე შევუგდე ბურთი“ — გვითხრა არველაძემ, ვინც „ჰერენვენს“ მართლაც ლამაზი გოლი გაუტანა — ერთი მცველი „პოდსებიათი“ ჩამოიცილა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

ერედივიზიონის ბომბარდირთა დავაში შოთას სამი გოლით სამი კაცი ჩამორჩება: დირკ კუიტი, იან კლას ჰუნტელაარი და რიკ ჰუგენდორპი.

კუიტი „ფეიენოორდში“ თამაშობს, 25 წლისაა და „ჩელსის“ და „არსენალის“ გარდა მისი გადაბირება კიდევ რამდენიმე შეძლებულ გუნდს სურს. შოთა კი მას ასეახასიათებს: „კუიტი ძალიან კარგი პიროვნება და ძლიერი ფეხბურთელია — ძალიან ჯანიანი და ჩაფსკვნილია და ერთობ სწორად თამაშობს. ისიცაა, რომ ასისტენტობაში მისწრებს — მე ექვსი საგოლე პასი დამიგროვდა, მას კი — რვა“.

შოთამ ისიც გვითხრა, რომ მას საგოლე პასებით მეტწილად კენეტ პერესი და ბარი ვან გალენი ამარაგებენ — დანიელი პერესი მარჯვენა გარემარბია, ხოლო ჰოლანდიელი ვან გალენი გამთამაშებელი.

ახლა შოთას კიდევ ორ მდევარზეც ვთქვათ. ჰუგენდორპი 30 წლისაა და გოლები „ვალვაიკისთვის“ გააქვს. „ის გამოცდილი ფორვარდია, თუმც კლასით კუიტსაც ჩამოუვარდება და ჰუნტელაარსაც, რომელიც ოსტატური ახალგაზრდაა, 21 წლისაა და მხოლოდ ჰოლანდიაში კი არაა, მთელ ევროპაში ერთ-ერთ ნიჭიერ ფორვარდად ითვლება. მისი შეძენა სურთ „აიაქსს“, „ჰამბურგს“ და კიდევ რამდენიმე გუნდს. ჰოლანდიაში ამბობენ, რომ ჰუნტელაარის სატრანსფერო ფასი ექვსი-შვიდი მილიონი ევროა“.

შოთა „ალკმაარში“ მალე ვინძლო ეული ქართველი აღარ იქნეს. ძმებ არველაძეების მიერ შექმნილი „საქართველოში ფეხბურთის განვითარებას ფონდის“ ეგიდით, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე „ალკმაარის“ სახელოვან დამრიგებელ ლუის ვან გაალთან გაივლის სტაჟირებას. „ვან გაალთან უკვე მოვილაპარაკეთ ამ საკითხზე და ახლა ჯერი ცხადაძეზეა, კახას ახლავე შეუძლია „ალკმაარში“ მოსვლა“ — გვითხრა არველაძემ.

როგორ იქნებოდა, ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლესთვის საჭირბოროტო საკითხებზეც არ გვეკითხა?

„საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებიდან ჩვენთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი სრეჩკო კატანეცია. კლუბის და ნაკრების გაწვრთნის სპეციფიკა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან და კატანეცს ნაკრებში, თანაც პატარა ქვეყნის ნაკრებში მუშაობას კარგი გამოცდილება აქვს. რა თქმა უნდა, კლაუს ტოპმიოლერი ჩინებული სპეციალისტია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი სპეციფიკაა“ — ასეთია შოთას აზრი.

**დავით თავართქილაძე**

# 19-წლამდელები 19 დეკემბრიდან

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის „ელიტ რაუნდში“ (შესარჩევის მეორე ეტაპი) გაისად მაისში ჩაებმება და ფინალურ ეტაპზე გასასვლელად თურქეთ-ირლანდია-სლოვაკეთის კამპანიაში პირველ ადგილზე გასვლა დასჭირდება.

მანამდე კი ნაკრების თავკაც კობა ჟორჟიკაშვილს რამდენიმე შეკრების და ამხანაგური მატჩების გამართვა სურს. ამხანაგურისა რა გითხრათ, 19 დეკემბერს კი 19-წლამდელები საქართველოს ნაკრების ბაზაზე დაიწყებენ პირველ შეკრებას.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართველები უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არველაძე? რა თქმა უნდა

*კახა კალაძემ გვარიანი პაუზის შემდეგ სერია A-ში ითამაშა* და მცირე დაბრუნება გოლითაც აღნიშნა. ეგაა, ამან „მილანს“ მაინც ვერ უშველა — დაწინაურებულმა მილანელებმა იმდენი მოახერხეს, რომ „კიევოსგან“ ორი გოლი გაუშვეს და საბოლოოდ დამარცხდნენ კიდეც.

*რა თქმა უნდა, გაიტანა შოთა არველაძემაც* — „ალკმაარმა“ 2:1 მოუგო „ჰერენვენს“, ჩვენებურმა კი პირველივე წუთზე მოიკითხა სტუმართა მეკარე. შოთას, ვინც პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, 14 მატჩში 13 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავასაც ლიდერობს.

*თავისი ლიგის ბომბარდირია მიხეილ საჯაიაც.* გერმანული რეგიონალლიგის „ბაიროითის“ ქართველმა ფორვარდმა „ეშბორნთან“ დუბლი შეასრულა და სეზონის მეთერთმეტე გოლი გაიტანა. „ბაიროითმა“ 3:0 მოიგო და მერვე ადგილზე აიწია.

*ბუნდესლიგელ ქართველებზეც ვთქვათ:* ლევან კობიაშვილის „შალკემ“ 1:0 სძლია „არმინიას“ და ჩვენებურმა სრულად ითამაშა, ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგი“ კი ჩაფლავდა — უსახელო „მაინცთან“ 1:5 წააგო და ცქიტიშვილი 61-ე წუთზე გააძევეს მოედნიდან.

„შალკე“ მეოთხე ადგილზეა, „ვოლფსბურგმა“ კი ათეულის ბოლოში ჩაყვინთა.

**ქახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კიევო 1:2 | 90 | 1 გოლი | 6 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | არმინია 1:0 | 90 | | 15 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | მაინცი 1:5 | 61 | გააძევეს | 12 | 0 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანზა 2:2 | 90 | | 14 | 1 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანზა 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | ვერდერი (მ) 4:2 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 1 | 3 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | ეშბორნი 3:0 | 90 | 2 გოლი | 15 | 11 | 8 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ევერტონი 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 0 | 13 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ჰერენვენი 2:1 | 45 | 1 გოლი, შეცვალეს | 14 | 13 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | გრონინგენი 0:1 | 16 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 12 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ტიროლი 2:3 | 90 | | 18 | 6 | 7 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | ვორსკლა 0:1 | 90 | | 16 | 6 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | დინამო 1:2 | 90 | | 17 | 1 | 12 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | ს | ზაკარპატიე 1:2 | 90 | | 10 | 0 | 4 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ტავრია 0:1 | 57 | შეცვალეს | 16 | 5 | 11 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | ს | სტალი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აპოელი 3:5 | 90 | | 8 | 2 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აპოელი 3:5 | 89 | შეცვალეს | 9 | 2 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აპოელი 3:5 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | დიგენისი 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 2 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# მუჯირიც ანართოსისში

**კვიპროსული** „ანართოსისი“ კიდევ ერთი ქართველით შეივსო — ბერძნული „კალითეას“ გამთამაშებელი ამირან მუჯირი ახალი წლიდან თემურ ქეცბაიას გუნდში ითამაშებს. ეს ცნობა გუშინ „ანართოსისის“ ვებგვერდმა გაავრცელა.

მუჯირი საბერძნეთში ამ სეზონის წინ ბულგარული ცსკა-დან გადავიდა, თუმცა ბოლო ტურებში მოედანზე გასვლა იშვიათად უწევდა და, ეტყობა, ამანაც აფიქრებინა გუნდის გამოცვლა.

შეგახსენებთ, რომ თემურ ქეცბაიას, კლიმენტი წიტაიშვილის და გიორგი გაბიდაურის „ანართოსისში“ ერთი კვირის წინ ლატვიური „სკონტოდან“ ლევან კორღალიძე გადავიდა...

**ქახა შალამბერიძე**

## დინამო იყო...

„დინამო“ რა იყო, იმის მიხედვით უნდა შევაფასოთ თუ რა დრო იყო.

სადღაც, მესამე კლასში თმა ისე მოვიზარდე, რომ ყურებზე ოდნავ გადმოვაყოფინე ბოლოები. გადმოვაპარე. მასწავლებელმა კატეგორიულად გამომიცხადა, რომ უნდა შემეჭრა, თორემ საქმე სასწავლო ნაწილის გამგემდე მივიდოდა. იმ საღამოს, უკვე გაკრეჭილმა, ეს ამბავი დედაჩემის ამხანაგთან მოვყევი. გადარჩენილხარო, მითხრა დედის ამხანაგმა, რომელიც ერთ-ერთი ინსტიტუტის ლექტორი იყო. ჩემი ორი სტუდენტი მილიციამ ქუჩაში დაიჭირა, განყოფილებაში წაიყვანა, გადახოტრა და გამოუშვაო — 70-იანი წლები იდგა, თმის მოშვება მთელ მსოფლიოში ლამის განგების ძალით იყო ნაკარნახევი, „როლინგები“ **I can't get no satisfaction**-ს მღეროდნენ, ჩვენ კი...

ჰოდა, აი, ასეთ ეპოქაში ორჯერ ვნახე დემონსტრაცია. პირველად ეს იყო ჩემი თმის ისტორიიდან ხუთი-ექვსი წლის მერე, როდესაც „დინამომ“ მეორედ მოიგო საბჭოთა კავშირის თასი. დავაზუსტებ, 1976-ში, „არარატთან“ 3:0-ის შემდეგ რა ხდებოდა, არ ვიცი, რადგან პატარა ვიყავი და ქუჩაში არ გავუშვივართ; აი, 1979 წელს კი ოთარ გაბელიამ პირჯვარი გადაიწერა (რომელიც გამეორებებში ამოჭრეს), ვალერი გაზაევს გადამწყვეტი პენალტი აუღო და მეც დემონსტრაცია ვნახე.

სად ვნახე, იცით? მუსკომედიის წინ რომ გაჩერებაა, იქ. მე და მამაჩემი ავტობუსს თუ ტროლეიბუსს ველოდებოდით, თასის აღსანიშნავად ბიძაჩემთან ვერაზე რომ წავსულიყავით და რას ვხედავ, ზემოდან, წერეთლის პროსპექტის მხრიდან შეძახილებით მოდის ადამიანთა კოლონა, რომელსაც წინ ტრანსფარანტიანი კაცი მოუძღვის. ეს იყო, რაღაც ძალიან თავისუფალი და ნამდვილი, ძალიან განსხვავებული იმ დემონსტრაციებისგან, რომელზეც თავადაც ბევრჯერ ვიყავი ნამყოფი: „მხნედ მოაბიჯებს საქარხნო რაიონის მშრომელთა კოლონა, რომელსაც წინ სოციალისტური შრომის გმირი ... მოუძღვება“

და იცით, კიდევ რა დამრჩა მეხსიერებაში სამუდამოდ? ჩვენთან ერთად გაჩერებაზე რუსი დედაშვილი იდგა. ჩამოსულები იყვნენ. დემონსტრაციის დანახვაზე გოგონამ დედას ჰკითხა, რა ხდებაო, დედამ კი სრულიად დაბნეული სახით უპასუხა, ალბათ რაღაც უხარიათო. მე და მამამ ავუხსენით, რაც ხდებოდა მაგრამ... ამით კიდევ უფრო დავაბნიეთ ისედაც დაბნეული ადამიანი.

ხოლო მეორე და გაცილებით დიდი დემონსტრაცია 1981 წლის 13 მაისს იყო... თუმცა, იმ ამბისა ყველამ ყველაფერი იცის და აღარ მოვყვები. ერთი, შეიძლება ჩემი მაშინდელი ასანთის კოლოფი მოვიგონო, ისიც თუ ძალიან არ მოგბეზრდით ამ მოგონებებით...

**ბაბუნა ძიძია**

# ლიმბეკიდან ცხადაძემდე: დინამოს თავების ისტორია

**1936 წლიდან**


მიხაილ ბუტუსოვი


ანდრო ჟორდანია


მიხაილ იაკუშინი


ბორის პაიჭაძე


გაიოზ ჯეჯელავა


ვასილი სოკოლოვი


ავთანდილ ღოღობერიძე


გავრილ კაჩალინი


ვიაჩესლავ სოლოვიოვი


გივი ჩოხელი


ნოდარ ახალკაცი


დავით ყიფიანი


კახი ასათიანი


გერმან ზონინი


რევაზ ძოძუაშვილი


გივი ნოდია


თემურ ჩხაიძე


სერგო კუტივაძე


ვაჟა ჟვანია


ნოდარ აკობია


მურთაზ ხურცილავა


იოჰან ბოსკამპი


გია გეგუჩაძე


ოთარ კორღალიძე


ჯემალ ჩიმაკაძე


რევაზ არველაძე


გოჩა ტყებუჩავა


ივო შუშაკი


ხვიჩა ქასრაშვილი


კახა ცხადაძე

**2005 წლამდე**

## დინამოს მწვრთნელები

| | |
|---|---|
| 1936 | ჟიული ლიმბეკი |
| 1937-39 | ალექსეი სოკოლოვი |
| 1939-40 | მიხაილ ბუტუსოვი |
| 1941 | პიოტრ ფილიპოვი |
| 1945 | ასირ გალპერინი |
| 1946-47 | ანდრო ჟორდანია |
| 1948 | მიხეილ ბერძენიშვილი |
| 1949 | მიხაილ მინაევი |
| 1949-50 | ალექსეი სოკოლოვი |
| 1950-53 | მიხაილ იაკუშინი |
| 1953-54 | ბორის პაიჭაძე |
| 1955 | ანდრო ჟორდანია |
| 1956-57 | გაიოზ ჯეჯელავა |
| 1958 | ვასილი სოკოლოვი |
| 1959-61 | ანდრო ჟორდანია |
| 1961-62 | ავთანდილ ღოღობერიძე |
| 1962-64 | მიხაილ იაკუშინი |
| 1964-65 | გავრილ კაჩალინი |
| 1966 | ალექსანდრე კოტრიკაძე |
| 1967-68 | ვიაჩესლავ სოლოვიოვი |
| 1969-70 | გივი ჩოხელი |
| 1971-72 | გავრილ კაჩალინი |
| 1973 | ალექსანდრე კოტრიკაძე |
| 1974 | გივი ჩოხელი |
| 1974-75 | მიხაილ იაკუშინი |
| 1976-83 | ნოდარ ახალკაცი |
| 1984-86 | დავით ყიფიანი |
| 1986 | ნოდარ ახალკაცი |
| 1987 | კახი ასათიანი |
| 1987 | გერმან ზონინი |
| 1988-91 | დავით ყიფიანი |
| 1991-93 | რევაზ ძოძუაშვილი |
| 1993-94 | გივი ნოდია |
| 1994 | თემურ ჩხაიძე |
| 1994-95 | სერგო კუტივაძე |
| 1995 | ვაჟა ჟვანია |
| 1995-98 | დავით ყიფიანი |
| 1998 | ნოდარ აკობია |
| 1998-99 | მურთაზ ხურცილავა |
| 1999 | იოჰან ბოსკამპი *(3 მაისი-10 აგვისტო)* |
| 1999 | გია გეგუჩაძე *(11-15 აგვისტო)* |
| 1999-2000 | ოთარ კორღალიძე |
| 2000 | ჯემალ ჩიმაკაძე *(8 მაისი-11 ივლისი)* |
| 2000 | რევაზ არველაძე *(12 ივლისიდან)* |
| 2001 | გოჩა ტყებუჩავა *(12 მარტი-12 ივნისი)* |
| 2001 | გივი ნოდია *(13 ივნისიდან)* |
| 2002-04 | ივო შუშაკი *(27 აპრილამდე)* |
| 2004-05 | გია გეგუჩაძე *(13 მარტამდე)* |
| 2005 | ხვიჩა ქასრაშვილი *(19 მარტამდე)* |
| | კახა ცხადაძე |




AFP ლაიპციგიდან

# ჰარიმ ქუდი დაიხურა

„საუთჰემპტონის" მენეჯერმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, რომ თუ „პორტსმუთის" მწვრთნელად არ დაბრუნდება, ფეხბურთს თავს დაანებებს.

რედნაპი ჯერ არ გადამდგარა „საუთჰემპტონის" თავკაცობიდან, თუმცა იქ დაბრუნებას აღარ აპირებს.

ჰარის ერთი დიდი ისტორია აქვს სამხრეთის ორ მოშუღარ, მეზობელ კლუბში: ის ჯერ პორტსმუთელთა მწვრთნელი იყო და ისინი პრემიერლიგაში გადმოიყვანა, ერთი წლის წინ კი იქაურობა მიატოვა და საუთჰემპტონელებს ჩაუდგა სათავეში, რომელთან ერთადაც დაბალ ლიგაში გავარდა. ახლა „პორტსმუთი" კვლავ იწვევს მენეჯერად და რედნაპი კვლავ თანახმაა.

„კონტრაქტით ექვსი თვე დამრჩა. თუ კლუბები ვერ მოილაპარაკებენ, ამ ნახევარ წელიწადს საერთოდ არ ვიმუშავებ" — თქვა რედნაპმა.

„საუთჰემპტონის" თავმჯდომარემ რობერტ ლოუმ კი განაცხადა, რომ თუ რედნაპი წავა, კლუბი კომპენსაციას მოითხოვს.

„არ მომწონს ის ხერხები, რომლებითაც მოქმედებენ" — განმარტა ლოუმ.

რედნაპმა სამსახური მას შემდეგ მიატოვა, რაც ლოუმ მას „პორტსმუთის" თავმჯდომარე მილან მანდარიჩთან მოლაპარაკების უფლება არ მისცა.

„შარშანდელი სეზონი ძალიან ცუდი იყო ჩემთვის — თქვა ჰარიმ — დიდი შეცდომა დავუშვი, როცა „პორტსმუთი" მივატოვე და „საუთჰემპტონში" მოვედი. მთელი სეზონია, წასვლა მინდა. მან ინგლისის მორაგბეთა ყოფილი თავკაცი კლაივ ვუდვორდი მოიყვანა კლუბში. ის მეგობრული კაცია, მაგრამ საქმეში არაფერი გამოვა, რადგან კლუბის სტრუქტურა უვარგისია, ვუდვორდის როლი კი გაურკვეველი".

**ირაკლი გამყრელიძე**



ჰარი რედნაპს „საუთჰემპტონის" მწვრთნელობა არ სურს

# დღეს ლაიპციგში კენჭი გაივლის

*მოდის, მსოფლიოს ჩემპიონატი მოდის: 32 ფინალისტი ხომ უკვე გარკვეულია და საორგანიზაციო კომიტეტი დღეს ამ გუნდებს განთესავს, რათა პარასკევს დააჯგუფოს*

**ჯერ** მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მასპინძელი გერმანია, სათამაშო გრაფიკს A1 გზით გაყვება და 9 ივნისს, ტურნირის პირველ მატჩს მიუნხენში ჩაატარებს, მეორეს 14 ივნისს დორტმუნდში, ხოლო მესამეს 20 ივნისს ბერლინში. კენჭისყრის დროს გერმანიასთან ერთად განთესილთა პირველ კალათაში იქნება კიდევ შვიდი გუნდი. ეს გუნდები, ბუნებრივია, ჯგუფებში ერთად ვერ მოხვდებიან, ჯგუფებს კი, როგორც მოგახსენეთ პარასკევს, ლაიპციგში გაარკვევენ. ცნობილია, რომ პარასკევის კენჭისყრა პირდაპირი ეთერით 150 ქვეყანაში გადაიცემა და მას 320 მილიონი ადამიანი ნახავს.

ფიფამ განთესვის მეთოდის წინასწარ გამჟღავნებაზე უარი თქვა, თუმცა ქარაგმულად მიანიშნა, რომ იგი 2002 წლის მსგავსი იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული კოეფიციენტის გამოსაყვანად „ფიფა-კოკა კოლას" ბოლო სამი წლის რეიტინგს გამოიყენებს. ამ ხერხით, პირველ კალათაში *გერმანიის* გარდა იქნებიან: *ბრაზილია, იტალია, საფრანგეთი, არგენტინა, ესპანეთი, მექსიკა და ინგლისი.* მეორეში მოხვდებიან *ჰოლანდია, აშშ, ჩეხეთი, ხორვატია, კორეა, იაპონია, პარაგვაი და შვედეთი.* მესამე ჯგუფში იქნებიან *ეკვადორი, შვეიცარია, ტუნისი, საუდის არაბეთი, პოლონეთი, ირანი, კოსტა რიკა და პორტუგალია,* ხოლო მეოთხეში *უკრაინა, სერბეთი, კოტ დივუარი, ავსტრალია, განა, ტრინიდადი და ტობაგო, ტოგო და ანგოლა.* ამრიგად, გამოდის, რომ მეოთხე ჯგუფის ყველაზე დაბლა მდგომი გუნდი ფიფას რეიტინგში 62-ე ადგილზეა.

საკამათო პრინციპია? ცხადია, საკამათოა. მარტივი მაგალითი ავილოთ: სად თავის გზაზე აშშ რომ მეტოქეებს ამარცხებს და სად ისეთი ევროპული გუნდი, როგორიც არის პორტუგალია, მაგრამ განთესვისას, პირველი უფრო მაღალი რანგის კალათაში იქნება, ვიდრე მეორე. ანაც ჰოლანდია რატომ უნდა იყოს მეორე კალათაში, ხოლო მექსიკა პირველში?

თუმცა, ზემოთ ხომ ქარაგმები ვახსენეთ და ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, თითქოს, რაღაც სიურპრიზებსაც გვპირდება. მან თქვა:

„ვფიქრობ, ჰოლანდიას და ინგლისს ნერვიულობის საფუძველი აქვთ. ის კი არა, შეიძლება იტალიაც კი ვერ მოხვდეს იქ, სადაც თავად ელოდება".

პარასკევის კენჭისყრა ძალიან განსხვავებული იქნება იმისგან, რაც გერმანელებს 1974 წლიდან ახსოვთ. მაშინ ფრანკფურტში, „ჰესიან რადიოს" სტუდიაში 200 სტუმარი ესწრებოდა 16-გუნდიანი მუნდიალის კენჭისყრის თხუთმეტწუთიან ცერემონიალს, პარასკევს კი 3 700 ადამიანი, მათგან ათასი ჟურნალისტი იქნება ვეება სავაჭრო ცენტრში დაგეგმილი შოუს მოწმე.

„ადიდასი" ჩემპიონატის ახალ ბურთს წარმოადგენს, ცერემონიალს კი წარუძღვებიან ჟურნალისტი რაინჰოლდ ბეკმანი და მოდელი ჰაიდი კლუმი.

საკუთრივ მუნდიალი 9 ივნისიდან 9 ივლისამდე გასტანს.

**პაპუნა ქედია**

# ალბერტინის ფინიში

**ახლო** წარსულში იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნახევარმცველმა დემეტრიო ალბერტინიმ კარიერა დაასრულა. 34 წლის ფეხბურთელი ბოლოს „ბარსელონაში" ირიცხებოდა, მაგრამ კატალონიელთა რიგები გასულ ზაფხულს დატოვა და მას მერე უკლუბოდ გახლდათ. მისი დამატების სურვილი დიდად არც ახლა გამოუთქვამს რომელიმე შედარებით გამორჩეულ გუნდს და ალბერტინისაც გული აუცრუვდა.

„უამრავი წელიწადი მივუძღვენი ფეხბურთს. ვფიქრობ, ახლა წასვლის დრო მოვიდა. ბევრი გამარჯვება ვნახე და ბევრი მარცხიც. ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და არც არასდროს დამავიწყდება. ახლა კი სხვა სტიმული და მიზნები მჭირდება. ჟინი და საქმის სიყვარული არასდროს მაკლდა და ასეც გაგრძელდება" — განაცხადა ალბერტინიმ.

შეგახსენებთ, რომ დემეტრიო ალბერტინი „მილანის" სკაუტებმა აღმოაჩინეს და არც უნანიათ. მან „როსონერიში" 14 წელი გაატარა (1989-2002). ამ პერიოდში სერია A-ში 293 მატჩი გამართა და 21 გოლი შეაგდო. ხუთჯერ მოიგო სკუდეტო, ერთხელ ჩემპიონთა თასი, ორჯერ ევროპის სუპერთასი და სამჯერაც იტალიის სუპერთასი. 2002 წელს იგი მადრიდის „ატლეტიკოში" გადაბარგდა, შემდეგ რომის „ლაციოში" და ბოლოს იყოს „ბარსელონა". „სკუადრა აძურას" მაისურა კი 79-ჯერ მოირგო და 2 ბურთი გაიტანა.

**კოკი კანდელაკი**



# დაკა-დაკა



ედგარ დავიდსი

**ედგარ დავიდსმა** და რობი კინმა გულიანად იჩხუბეს. ეს ამბავი „ტოტენჰემის" ერთ-ერთ ვარჯიშზე მოხდა და დიდი რია-რიაც ატყდა. ჰოლანდიელი და ირლანდიელი მას შემდეგ წაკამათდნენ, რაც დავიდსმა კინთან ჯარიმა „აიკიდა".

მოწმეთა მტკიცებით, ირლანდიელი სახეაჭრელებული წასულა ვარჯიშიდან, ხოლო ჰოლანდიელის დაწყნარებას კარგა ხანს მოუნდნენ.

„ტოტენჰემის" წარმომადგენლებმა „მამლაყინწების" დაწყნარება შეძლეს და ორივემ „სანდერლენდთან" მატჩში ითამაშა.

ცემა-ტყეპის ერთ-ერთმა თვითმხილველმა განაცხადა: „ეს სერიოზული ჩხუბი იყო, ნამდვილი და ხელჩართული. ისე შეებნენ ერთმანეთს, რომ დანარჩენებმა ძლივს გააშველეს".

კლუბის პრესმდივანმა დონა კულენმა განაცხადა: „ინციდენტი ამოწურულია. ფეხბურთელები შერიგდნენ და გასარჩევიც აღარაფერია."

ედგარ დავიდსი სიფიცხით ცნობილია. მან „აიაქსში" ყოფნისას იჩხუბა, მერე კი ჰოლანდიის ნაკრების წევრ მარკ ვან ბომელსაც ეძიძგილავა.

**ვაჟა ხუციშვილი**




ემილიო ბუტრაგენიო და „რეალის“ უფროსობა ხუან რამოს ლოპეს კაროს ჯერჯერობით ენდობიან

# რატომ გაუშვეს ლუშემბურგო?

*მადრიდის „რეალის“ უფროსობამ იფიქრა, იფიქრა და საბოლოოდ გადაწყვიტა — ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგო „სამეფო კლუბის“ მწვრთნელი აღარ არის. მას დროებით შეცვლის ან ყოფილი თანაშემწე ხუან რამოს ლოპეს კარო, რომელიც თავის დროზე „მალიორკაში“ მუშაობდა, ბოლოს კი „რეალი B“-ს თავკაცობდა.*

*ქვემოთ მადრიდული კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ემილიო ბუტრაგენიოსთან ინტერვიუს გაეცნობით, რომელიც წარსულში ლეგენდარულ ფეხბურთელს მადრიდულმა „ასმა“ ჩამოართვა*

— სინიორ ბუტრაგენიო, როდემდე დარჩება ხუან რამოს ლოპეს კარო „რეალის“ დამრიგებლად?

— ჯერ ამაზე ვერ გიპასუხებთ. იგი სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დამოძღვრავს გუნდს, შემდეგ კი ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. საბოლოოდ ყველაფერს უახლოეს ხანში გავარკვევთ.

— რატომ გაათავისუფლეთ ვანდერლეი ლუშემბურგო?

— გუნდი ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებდა. „რეალის“ ინერტულობამ ყველა შეაწუხა, პრეზიდენტ პერესიდან დაწყებული, უბრალო ქომაგით დამთავრებული. ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი გაშვება, თუმც ვერ გეტყვით, რომ „ლუშეს“ იოლად შეველიეთ: ვანდერლეი ბრწყინვალე სპეციალისტია და მასთან განშორება ჩვენთვის მძიმე დარტყმა იყო.

— ცოტა ხნის წინ კი „რეალის“ პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი აცხადებდა, ვანდერლეი ლუშემბურგო შეუცვლელიაო. რა მოხდა?

— ვერ გეტყვით, მე პირადად ლუშემბურგოს დარჩენის მომხრე ვიყავი, თუმცა, სამწუხაროდ, შედეგები სავალალო იყო. იმედი მაქვს, ლოპეს კაროს მოსვლა მაინც გაამართლებს.

— ანუ გადაწყვეტილება გუნდის ინტერესების გათვალისწინებით მიიღეთ..

— რა თქმა უნდა. ლუშემბურგოს საწინააღმდეგო პირადად არაფერი გვქონდა, მაგრამ „რეალის“ დარ გუნდს ელიტაში მუდმივად ყოფნა სჭირდება.

— რაც უნდა იყოს, ხუან რამოს ლოპეს კარო მაინც დროებითი მწვრთნელია. ასეა, თუ ახალი წლისთვის სახელიანი დამრიგებლის მოყვანას აპირებთ?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ლოპეს კაროს ახლა ფეხბურთელებისგან და ჩვენგან მხარდაჭერა სჭირდება.

— ორი სეზონის განმავლობაში „რეალმა“ უკვე მეოთხე მწვრთნელი შეიცვალა...

— მადრიდული გრანდის გაწვრთნა იოლი არაა. ვიმედოვნებ, ახლა, ჩვენი ვარაუდით, ფანტასტიკური მომავალი გველის.

— ვისენტე დელ ბოსკეს დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

— არა, ჩვენ ლუშემბურგოს დროებით შემცვლელზე ვფიქრობდით. მნიშვნელობა არ ჰქონდა, დელ ბოსკე იქნებოდა, თუ იგივე ლოპეს კარო — დრო მცირე იყო.

— „ლუშეს“ თანაშემწეებიც გაათავისუფლეთ?

— ფაქტია, ლოპეს კარო თავის ხალხთან ერთად მოვა. ამიტომ, ისინიც გავუშვით.

— „რეალი B“-ს ამიერიდან ვინ გაწვრთნის?

— მალე შეგატყობინებთ. უკვე მოფიქრებული გვაქვს, ამ ადგილზე ვინც იქნება.

— ლუშემბურგოს თუ სურდა წასვლა?

— საპრეზიდენტო საბჭოს გადაწყვეტილება მას უმალ ვაცნობეთ, ჯერ მე დავურეკე, მერე კი გუნდის კაპიტანმა რაულმა. ვანდერლეის ახლა ოჯახთან ყოფნა სურს, ფლორენტინო პერესთან სასაუბროდ ჯერ არ მოსულა.

— „რეალის“ ჩავარდნა იქნებ არც იყო მისი ბრალი...

— ამას მომავალი გვიჩვენებს. ყველაფერი ხომ „რეალის“ ინტერესებისთვის ხდება.

— ლუშემბურგოს ბოლო მატჩი „ხეტაფესთან“ იყო. ის თამაში „რეალმა“ მოიგო, მაგრამ ინჩადა მაინც უკმაყოფილო დარჩა. ქომაგთა რეაქციამაც იქონია გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე?

— არანაირად, „ხეტაფესთან“ მატჩი გუნდმა მოიგო. ვფიქრობ, ლუშემბურგომ მშვენივრად იცის, რომ მისი მოხსნა „რეალს“ სასიკეთოდ წაადგება.

*გუშინ კი ესპანურმა სააგენტოებმა ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს — ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, მადრიდის „რეალს“ ახალი სეზონიდან სამიდან ერთი — ხავიერ ირურეტა, ვიქტორ ფერნანდესი, პოლ ლე გუენი — გაწვრთნისო.*



AFP მადრიდიდან

ხავიერ ირურეტა, ვიქტორ ფერნანდესი და პოლ ლე გუენი




**რუსულმა** „სპარტაკმა“ „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ ფაქსი მიიღო და უკვე უპასუხა კიდეც. „წითელ ეშმაკებს“ მოსკოველთა სერბი მცველის ნემანია ვიდიჩის შეძენა სდომებიათ. „დიდი შანსია, მოლაპარაკება მალე დაიწყოს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ინგლისელები ჩვენ პირობებს მიიღებენ“ — ნათქვამია „სპარტაკის“ განცხადებაში.

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ ფორვარდმა ჯერმენ დეფომ კლუბის ქომაგები დაამშვიდა, არსად წასვლას არ ვაპირებო. 23 წლის ფეხბურთელი ბოლო დროს კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება. „მარტინ იოლი რატომღაც აღარ მენდობა, თუმც იმედი მაქვს, ეროვნული გუნდის მწვრთნელმა სვენ-გორან ერიკსონმა ჩემი შესაძლებლობები იცის. ცოტა ხანში კი ყველას შევახსენებ, რაც შემიძლია“ — თქვა დეფომ.

**საფრანგეთის** ნაკრების ნახევარმცველმა რობერ პირესმა „მამლების“ თავკაც რაიმონ დომენეკს ბოდიში მოუხადა. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ, კვიპროსთან მატჩის შემდეგ, პირესმა დომენეკი საჯაროდ გააკრიტიკა. „ახლახან მწვრთნელსველაპარაკე და მოვუბოდიშე. ნამდვილად არ მინდოდა, მისი ან რომელიმე ფეხბურთელის შეურაცხყოფა. ვფიქრობ, მუნდიალზე მოხვედრის შანსი კიდევ მაქვს“ — განაცხადა პირესმა.

**ბრაზილიელ** ფორვარდ ჯოვანი ელბერს „მიონხენგლადბახთან“ კონტრაქტის გაწყვეტისთანავე მრავალი მსურველი გამოუჩნდა. ვეტერანი თავდამსხმელით განსაკუთრებით ინგლისური კლუბები არიან დაინტერესებულნი, მათ შორის — „ბოლტონი“, „მანჩესტერ სიტი“ და „ჩარლტონი“.

**გერმანული** „კიოლნი“ თავისი ლიდერების შენარჩუნებას ცდილობს. „ცხვრებმა“ ახალგაზრდა ვარსკვლავ ლუკაშ პოდოლსკის და მის სეხნიას, პერსპექტიულ მცველ სინკევიჩს კონტრაქტის 2009 წლამდე გახანგრძლივება შესთავაზეს. საინტერესოა, რომ პოდოლსკისა და სინკევიჩს, სახელის გარდა კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო — ორივე პოლონეთშია დაბადებული, მაგრამ გერმანიის მოქალაქეები არიან.

**ესპანური** „ბარსელონა“ სეზონის ბოლომდე ერთ-ერთი ლიდერის, ხავი ერნანდესის გარეშე დარჩა. კატალონიელთა ნახევარმცველს დაახლოებით 6 თვე გაუცდება და საეჭვოა, მისი მუნდიალზე თამაშიც. იგი „ვილიარეალთან“ მატჩისწინა ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა, მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა.

**იტალიური** „ფიორენტინას“ ფორვარდმა ლუკა ტონიმ აღნიშნა, რომ იგი „იუვენტუსთან“ მატჩში მსაჯის და ლაინსმენების პროვოცირებას არ ცდილობდა. შეგახსენებთ, რომ ფაბიო კაპელომ მას და ჯამპაოლო პაცინის სიმულანტობა დააბრალა. „ეს სასაცილოა. უბრალოდ, კაპელომ ვითარება არაობიექტურად შეაფასა. ძალით ერთხელაც არ დავცემულვარ“ — განმარტა ტონიმ.

**გერმანული** „ჰამბურგის“ მცველი ხალიდ ბულარუზი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მან უეფას თასზე, „მონაკოსთან“ მატჩში მეტოქეს ლოყაზე უჩქმიტა, რის გამოც მინდვრიდან გააძევეს კიდეც. შესაბამისად, იგი გამოტოვებს „სლავიასთან“ მატჩს და „ჰამბურგის“ შემდეგ თამაშს ევროთასებზე.

**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ალან პერდიუ ცდილობს, ტედი შერინგემს კარიერის დასრულება გადააფიქრებინოს. ვეტერან ფორვარდს 2006 წლის აპრილში 40 წელი უსრულდება და გადაწყვიტა, ზაფხულში ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს. ლონდონური კლუბი კი უკვე ამზადებს ახალ კონტრაქტს შერინგემისთვის.

**იტალიური** „რომას“ თავკაცმა, ლუჩანო სპალეტიმ „ლეჩესთან“ მატჩის შემდეგ ანტონიო კასანოს მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა, მიუხედავად იმისა, რომ რომაელებმა „ლეჩეს“ ვერ მოუგეს. „მან ბრწყინვალე გოლი შეაგდო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მაინტერესებს და მახარებს, რომ მან ბრძოლაში ბევრი ბურთი მოიპოვა და ეს მთელი გუნდისთვის გააკეთა. ასეთია ნამდვილი კასანო“ — აღნიშნა სპალეტიმ.

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და „ჩელსის“ შემტევ ნახევარმცველ არიენ რობენს კლუბის გამოცვლა არ უნდა. მისი თქმით, ჭორები ჟოზე მაურინიუსთან კონფლიქტის შესახებ გამოგონილია. ამბობენ, პორტუგალიელი სპეციალისტი უკმაყოფილოა იმით, რომ რობენი ტრავმებს ხშირად იღებს.

**გერმანული** „ბაიერნის“ ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მიზეზი — დაისლერმა ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩში „შტუტგარტის“ შვეიცარიელი მცველი ლუდოვიკ მანინი ჯერ გალახა, მერე კი წააქცია. მსაჯმაც შესაბამისად, გააძევა. მიუნხენური კლუბი საფეხბურთო კავშირის გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს.

**იტალიურ** „ტორინოს“ ბელარუსის ნაკრების ფორვარდის, ვიტალი კუტუზოვის გადაბირება სურს. მოგეხსენებათ, კუტუზოვი „მილანის“ საკუთრებაა და ახლა იჯარის წესით გენუის „სამპდორიაში“ თამაშობს. „ტორინოს“ პრეზიდენტი ურბანო კაიროც „როსონერის“ შეფებს დაუკავშირდა, მის კონტრაქტს გამოვისყიდითო. „ჩვენ კვალიფიციური ფორვარდი გვჭირდება, ვიტალი კუტუზოვი კი მისაღები ვარიანტია. იმედია, „მილანის“ ბოსები უარს არ გვეტყვიან და ბელარუსის ტრანსფერსაც იანვარში გავჩარხავთ“ — განაცხადა ურბანო კაირომ.


# იყიდება

ამერიკიდან ახალი ჩამოყვანილი, 1999 წელს გამოშვებული ISUZU RODEO 2.2 ბენზინის ძრავით, იდეალურ მდგომარეობაში, განბაჟებული. ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 55 80 27



# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

### მილანი — შალკე

მილანი. „სან სირო". მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

დიდა, შიმიჩი, ნესტა, სტამი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო

როსტი, რაფინია, ბორდონი, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, პოულსენი, ერნსტი, ლინკოლნი, ალტინტოპი, კობიაშვილი, კურანი

### პსვ ეინდჰოვენი — ფენერბაჰჩე

ეინდჰოვენი. „ფილიპსი". მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

გომესი, რაიციგერი, ოიერი, ალექსი, ლამეი, აისატი, აფელაი, კოკუ, სიმონსი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი

ვოლქანი, ფაბიო ლუსიანო, უმით ოზატი, სერვეთი, დენიზი, მ. აურელიო. სერქანი, სელჩუკი, აპია, ანელკა, თუნჯაი

## F ჯგუფი

### ლიონი — რუსენბორგი

ლიონი. „სტად ჟერლანი". მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

კუპე, რეველიერი, კასაპა, კრისი, მონსორო, მ. დიარა, პედრეტი, მალუდა, ჟუნინიო, კარეუ, ფრედი

ე. იონსენი, ბასმა, კვარმე, დორსინი, რისეტი, ვინსნესი, რ. სტრანდი, სოლი, ო. ბერგი, ფ. იონსენი, ბრაატენი

### ოლიმპიაკოსი — რეალი

ათენი. „გეორგიოს კარაისკაკისი". მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

ნიკოპოლიდისი, მ. მარიჩი, შურერი, ანატოლაკისი, ბულუტი, კაფესი, ი. ტურე, რივალდო, სტოლტიდისი, ბაბანგიდა, დანი

დ. ლოპესი, დიოგო, პავონი, მეხია, რაულ ბრავო, გრავესენი, სერხიო რამოსი, ბალბოა, ა. მარტინი, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო

# მილანი საიუბილეოს ელის



„მილანს" გერმანელებთან ტრავმირებული კაპიტანი პაოლო მალდინი დააკლდება

მივადექით ოთხეულის თავს — „მილანი" — „შალკეს" შეხვედრაში გამარჯვებული გაიხარებს, რადგან შემდეგ ეტაპზე ადგილს დაიბევებს. 0:0-ის, ან 1:1-ის შემთხვევაში „მილანი" გააღწევს, ხოლო „შალკეს" გასვლის ვარიანტებიდან ერთ-ერთს ვიტყვით: გერმანულმა კლუბმა მერვედფინალში თავი რომ დაიგულოს, მილანში უნდა იმარჯვოს. „შალკემ" ფრედ თუ ითამაშა ან წააგო, მაშინ პსვ-„ფენერბაჰჩეს" შედეგზე იქნება დამოკიდებული.

მაშ ასე, „კიევოსთან" დამარცხებული „მილანი" გელზენკირხენულ გუნდთან აუცილებლად მოსაგებად გაიწევს, თორემ კარლო ანჩელოტის „კიევო" ტკბილ მოგონებად დარჩება.

„შავ-წითლებმა" ჩემპიონთა ლიგის ბოლო საშინაო 11 მატჩიდან ათი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს, ხოლო „სან სიროზე" გამართულ რვა შეხვედრაში ერთ გოლზე მეტი არ გაუშვეს.

„მილანისთვის" ეს მატჩი ევროთასებზე 279-ე იქნება და, თუ მოიგებს, 150-ე გამარჯვებასაც მიითვლის. იტალიურ კლუბს ევროსარბიელზე 65-ჯერ წაუგია, რაც შეეხება „შალკეს", მას გასვლაზე თამაში უჭირს — სტუმრად გამართული ბოლო ხუთი ჩემპიონთალიგური მატჩიდან, მხოლოდ ერთის მოგება შეძლო.

„ჩვენ მთელ ჯან-ღონეს „შალკესთან" თამაშს შევალევთ — თქვა „კიევოსთან" დამარცხებულმა კარლო ანჩელოტიმ, რომელსაც დაცვაში პრობლემა შეექმნა. პაოლო მალდინი ტრავმირებულია და სადღეისოდ თუ არ გამოკეთდა, მის ადგილს იაპ სტამი დაიკავებს.

„შალკეს" მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა ისტორიაც გაიხსენა, როცა „ხუმარებმა" 1997-ში „ინტერს" უეფას თასზე მოუგეს: „ჩვენ მომავალს იმედით ვუყურებთ. უეფას თასი აგვიწევია და შევეცდებით, ჩემპიონთა ლიგაშიც შეძლებისდაგვარად შორს წავიდეთ".

„პსვ ეინდჰოვენი" შინ ოთხჯერ დახვედრია თურქულ კლუბებს და ყველა მოუგია. მათ შორის 14 გოლი გაუტანია და მხოლოდ სამი გაუშვია. ევრომატჩებში ეინდჰოვენელებს თოთხმეტიდან თერთმეტ საშინაო შეხვედრაში უმარჯვიათ, სამი კი ფრედ დასრულებულა.

„ფენერბაჰჩეს" სტატისტიკა კი მარცხიანია — ოთხჯერ ჩასულა ჰოლანდიაში და ოთხივე წაუგია, თან ორი გაუტანია და 12 გაუშვია.

გამსვლელ-დამრჩენთა ჩახლართული ამბავი თავიდანვე გავარკვიოთ, მაგრამ ბოლოდან დავიწყოთ: „ფენერბაჰჩე" ეინდჰოვენში თუ მოიგებს, უეფას თასზე გააგრძელებს თამაშს, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქული გუნდი მეოთხე ადგილზე დარჩება.

ახლა პსვ-ს ავანჩავანი განვიხილოთ. ჰოლანდიური კლუბი სამ ქულას თუ მიითვლის, მერვედფინალს გაინაღდებს. „ფენერთან" მატჩი ფრედ რომ დაასრულოს, პსვ-ს მაშინაც აქვს ჯგუფიდან გაღწევის შანსი, ოღონდ „შალკემ" „მილანს" უნდა მოუგოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 8 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:6 | 7 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |



ბერძნებთან „რეალი" მეორე შემადგენლობით ითამაშებს

AFP ფოტოქრონიკა

# რეალის სათადარიგო ლიგა

იკერ კასილიასი, მიჩელ სალგადო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი, პაბლო გარსია, ზინედინ ზიდანი, დევიდ ბექემი და რონალდო — ბერძნებთან მატჩს მთელი ეს მადრიდული არმადა გამოტოვებს. რა გამოდის? რა და დღეს, „გეორგიოს კარაისკაკისზე", „რეალის" ახალი მწვრთნელი ხუან რამოს ლოპეს კარო სათადარიგოებს მისცემს თავის გამოჩენის შანსს. „სამეფო კლუბს" უკვე გარანტირებული აქვს მერვედფინალის საგზური და იმიტომ. ერთი სიტყვით, ერთქულიან და შესაბამისად, უიმედო აუტსაიდერ „ოლიმპიაკოსს" (უეფას თასზეც ველარ გადის) ესპანურ გრანდთან ვინმლო წარმატების იმედიც ჰქონდეს.

ამათი ჯახი „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალმა" მოიგო, თუმც „სამეფო გუნდს" ელინთა ძლევა მაშინ გაუჭირდა — პანტელის კაფესმა ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ სოლდადომ გადამწყვეტი ბურთი მაინც შეაგდო. საერთოდ, ესპანელები და ბერძნები ჩემპიონთა ლიგაში ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს — ორჯერ „რეალმა" იმარჯვა, ორიც კი ფრედ დასრულდა.

„ოლიმპიაკოსს" ძალიან უნდა, ტურნირი ღირსეულად ჩაამთავროს — მასპინძელთა მწვრთნელმა ტრონდ სოლიედმა მედიასთან საუბარში თქვა, მომხვდურებს ფიცხელ ომს გავუმართავთო.

ძირითადში შეიძლება, ბერძენთა ბრაზილიელი ვარსკვლავი რივალდო ვერ მოხვდეს. ოკეანისგაღმელმა ლიგის წინა შეხვედრაში „რუსენბორგს" გაუტანა, თუმც, როგორც ბერძნული გაზეთები გვამცნობენ, მერე მწვრთნელთან პრობლემაც შექმნია. სასტარტო თერთმეტეულში სავარაუდოდ, დანი გარსიაც არ იქნება.

ჟერარ ულიეს „ლიონს" ჯგუფში პირველობა დაბევებული აქვს და ნორვეგიელებსაც მშვიდად უმასპინძლებს — „ლიონმა" საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „პარი სენ ჟერმენს" 2:0 მოუგო. გადასარევი შეხვედრა იყო, პსჟ-ს ყველანაირად ვაჯობეთ და იმედია, „რუსენბორგთანაც" ასე ვითამაშებთო — უთქვამს მაშინ ულიეს. „ლიონს" ლაზარეთში ერიკ აბიდალი და ჟერემი ბერტოდი ჰყავს.

„რუსენბორგი" კი თავის ევროპულ სვლას უეფას თასზე განაგრძობს — მესამე ადგილს ვიკინგებს ვერავინ წაართმევს. ამ გუნდების წინა შეხვედრა „ლიონის" გამარჯვებით დასრულდა: ფრანგთაგან ერთადერთი გოლი ბრაზილიელმა კრისმა შეაგდო.

ტრონდჰეიმული გუნდი ლიგაში თამაშის მხრივ რეკორდსმენია — ნორვეგიელებმა 10-ჯერ მიიღეს მონაწილეობა. ახალი სეზონის გათამაშებაში კი პერ-მათიას ჰიოგმეს გუნდი ველარ მოხვდება — ეროვნულ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე გავიდა...

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| რუსენბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ჩელსი — ლივერპული

ლონდონი. „სტემფორდ ბრიჯი“. მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

| | |
|---|---|
| ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი, დელ ორნო, ჯ. კოული, ესიენი, ლამპარდი, დაფი, დროგბა, გუდიონსენი | რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ლუის გარსია, ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი, მორიენტესი, კროუჩი |

### ბეტისი — ანდერლეხტი

სევილია. „მანუელ რუის დე ლოპერა“. მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)

| | |
|---|---|
| დობლასი, ვარელა, ხუანიტო, რივასი, ო. ლოპესი, არზუ, მ. ასუნსაო, რივერა, ხოაკინი, ედუ, ხისკო | პროტო, დეშახტი, კომპანი, ტიჰინენი, ვანდენ ბორე, ვილჰელმსონი, ზეტერბერგი, ვანდერეგე, გორრი, მ. მპენზა, იაშჩუკი |

## H ჯგუფი

### რეინჯერსი — ინტერი

გლაზგო. „აიბროქსი“. მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

| | |
|---|---|
| ვატერეუსი, რიკსენი, ენდრიუსი, კირიაკოსი, მიურეი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ა. რეი, ლოვენკრანდსი, ბუფელი, ს. ტომპსონი | ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ფავალი, ფიგუ, კამბიასო, ვერონი, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი |

### არტმედია — პორტუ

ბრატისლავა. „ტეჰელნე პოლე“. მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

| | |
|---|---|
| ჩობეი, დებნარი, დიურიცა, ბორბელი, ბურაკი, ჰარტიგი, ფოდრეკი, პ. პეტრაში, კოზაკი, ვაშჩაკი, ჰალენარი | ვიტორ ბაია, ჟორჟე კოშტა, რიკარდუ კოშტა, პეპე, პ. ემანუელი, ლ. გონსალესი, ბოსინგვა, დიეგო, კვარესმა, მაკკარტი, შოკოტა |

# კეთილი მოგონებების ჯგუფი

**რა უნდათ** „ჩელსის“ და „ლივერპულს“, რომლებიც დღეს, „სტემფორდ ბრიჯზე“, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს? ჯგუფში პირველი ადგილი, თორემ მერვედფინალში გასვლა ორივეს ისედაც გარანტირებული აქვს.

და კიდევ, თავმოყვარეობის ამბავია — ლონდონელებს ევროსარბიელზე ლივერპულელები ჯერ არ დაუმარცხებიათ. ცნობისთვის: დღევანდელი მეტოქენი „ინგლისს გარეთ“ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივეჯერ 2005 წელს. ამ სამი თამაშიდან ერთი „ლივერპულმა“ მოიგო, ორი კი ფრედ დამთავრდა. შეგახსენებთ, თუმცა, ფეხბურთის ქომაგთ რა შეხსენება გინდათ, რომ მიმდინარე გათამაშების პირველი მატჩი, რომელიც „ენფილდ როუდზე“ 28 სექტემბერს გაიმართა, 0:0 დასრულდა და, ეგ რაა, ხსენებულ სამ მატჩში თავმომწონე „ჩელსიმ“ მერსისაიდელებს ერთი გოლიც ვერ გაუტანა. სამაგიეროდ, საინტერესო ფაქტის წინაშე ვართ — თუ ლონდონელები „ლივერპულის“ კარს დღეს აზდიან სკალპს, ეს იქნება საერთაშორისო სარბიელზე მათი მე-200 გოლი 115-ე შეხვედრაში. თან უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სტატისტიკა გვამცნობს, „ჩელსის“ შინ დამარცხება გვარიანად ძნელი საქმეა — 54 შეხვედრაში ასეთი რამ სულ ორჯერ მომხდარა და პლუს, ჩემპიონთა ლიგის ბოლო სამ გათამაშებაში „ლურჯებს“ შინ გოლი არ გაუშვიათ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, „ლივერპული“ სტუმრად რომ პირიქით, ძლიერია? კერძოდ, გუნდმა ბოლო ხუთი ევროსტუმრობა მოიგო, მანამდე კი ოთხი ფრედ ჰქონდა ნათამაშევი.

მაგრამ, როდესაც ერთმანეთს „ჩელსი“ და „ლივერპული“ ხვდებიან, მათი ურთიერთობებიდან საერთაშორისოს გამოცალკევება სწორი არ უნდა იყოს და თუ ასეა, მაშინ საშინაო საქმეებიც მოვიკითხოთ. აქ უპირატესობა ჟოზე მაურინიუს ქვეშევრდომებს, ანუ დღევანდელ მასპინძლებს აქვთ — ზემოთ 28 სექტემბრის 0:0 რომ ვახსენეთ, იმ ამბიდან ოთხ დღეში ლონდონელებმა მეტოქეს 4:1 გადაურბინეს. მერედა, გასულ სეზონში „ჩელსიმ“ მოიგო ორივე პრემიერლიგური მატჩი, ორივე 1:0 და ორივე ჯო კოულის გოლებით. და, კიდევ იყო თამაში ლიგის თასის ფინალში, რომელშიც ასევე მაურინიუს ხალხმა გაიმარჯვა — 3:2.

სულ კი დღევანდელი მეტოქენი ერთმანეთს 138-ჯერ შეხვედრიან. აქედან, „ლივერპულმა“ მოიგო 63-ჯერ, „ჩელსიმ“ 48-ჯერ, 27 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

„ბეტისისა“ და „ანდერლეხტის“ მატჩზე კი ასე ვთქვათ: „ბეტისი“ უეფას თასზე გადადის და დღევანდელი დღისგან მხოლოდ კარგი მოგონებები უნდა, მეტი არაფერი. კარგი მოგონება უნდა „ანდერლეხტსაც“, აბა, ყველა მატჩის წაგება როგორ შეიძლება სიამოვნებდეს? მარტო ამ სეზონისას თუ არ დავითვლით და ცოტა ძველსაც ვიტყვით, ბელგიელებს ზედიზედ 12 წაგებული ევრომატჩი გამოუდით და დაგვეთანხმებით, ეს მეტისმეტია.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:1 | 10 |
| ბეტისი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:6 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:8 | 0 |



AFP ლონდონიდან

ჟოზე მაურინიუს „ჩელსის“ „ლივერპულთან“ ევროთასებზე ჯერ არ მოუგია



ახლა „რეინჯერსის“ იმედი თომას ბუფელია

# მაკლიში ბუფელზე კიდია

**„გლაზგო რეინჯერსს“** „ინტერთან“ მოგება სჭირდება, რათა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საგზური გაინაღდოს. აღსანიშნავია, რომ ლიგის ისტორიაში ჯგუფური ეტაპიდან მერვედფინალში (ან მეოთხედფინალში) ჯერ არც ერთი შოტლანდიური კლუბი არ გასულა.

მილანელებთან მატჩი, ფაქტობრივად, ბოლო შანსია ალექს მაკლიშისთვის. მისი საქმეები ცუდად მიდის. „ჩაფრები“ აშკარა კრიზისში არიან და მორიგი წარუმატებლობის შემთხვევაში ახალგაზრდა სპეციალისტს ალბათ დაუყოვნებლივ დაატოვებინებენ პოსტს. გასულ უქმეებზე „რეინჯერსმა“ შინ „ფოლკირკთან“ ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა (2:2). ამით გლაზგოელებმა თავიანთი მოუგებელი მატჩების სერია ცხრამდე გაზარდეს, რაც მათ 132-წლიან ისტორიაში აქამდე არ ყოფილა.

„აიბროქსის“ ბინადრებს თამაში კვლავ ორი წამყვანი ფორვარდის, დადო პრსოსა და ნაჩო ნოვოს გარეშე მოუწევთ. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა ერთ-ერთი ლიდერი თომას ბუფელი, რომელიც შეტევაში სტივენ ტომპსონს შეუწყვილდება.

„ბუფელმა „ფოლკირკთან“ ითამაშა და იგი მინდორზე საუკეთესო იყო. მისი დაბრუნებით ძალიან გახარებულნი ვართ და გვეიმედება. როდესაც წამყვან მოთამაშეებს დიდი ხნით კარგავ, ძალიან ძნელია, მაგრამ ნოვოსა და პრსოს დაბრუნებამდე, როგორმე უნდა გავძლოთ“ — თქვა მაკლიშმა.

„რეინჯერსს“ „ინტერთან“, რომელსაც ჯგუფში პირველი ადგილი უკვე განაღდებული აქვს, ფრეც აძლევს ხელს, თუ „არტმედია“ ბრატისლავაში „პორტუს“ ვერ მოუგებს. ამ შემთხვევაში გლაზგოელებს სულ ცოტა, უეფას თასის საგზური განაღდებული აქვთ.

„ამ მატჩში აუცილებლად მოსაგებად ვითამაშებთ, ეს ღირსების საკითხია. მართალია, ჩვენ პირველი ადგილი განაღდებული გვაქვს, მაგრამ სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ“ — განაცხადა „ინტერის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ.

ეს კლუბები წლევანდელ სეზონამდე ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ და ორჯერ მილანელებმა მოიგეს, ხოლო ორჯერაც გლაზგოელებმა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ორჯერვე იტალიური კლუბი გავიდა.

ჯგუფის მეორე მატჩიც არანაკლებ მნიშვნელოვანია — „არტმედიას“ მხოლოდ მოგება სჭირდება, რათა მერვედფინალში მოხვედრის შანსი ჰქონდეს. ამ შემთხვევაში, „რეინჯერსმა“ „ინტერს“ ვერ უნდა მოუგოს. თუ ბრატისლავური მატჩი ფრედ მორჩა, „არტმედია“ უეფას თასზე გადავა, თუ „პორტუმ“ იმარჯვა, პორტუგალიელებს მესამე ადგილი აქვთ გარანტირებული, ხოლო გლაზგოში „ნეროაძურის“ გამარჯვების შემთხვევაში მერვედფინალშიც გავლენ.

ორივე კლუბი საბრძოლო შემადგენლობითაა და ცხადია, თავის დაზოგვას არ აპირებს.

**ძოძი ძანდელაძი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6:6 | 6 |
| არტმედია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:9 | 5 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 8:9 | 4 |

# დაცვას მიხედე, კარლო!



კრისტიან კივუ

**რუმინელი** მცველის, კრისტიან კივუს შესახებ მითქმა-მოთქმა კვლავ გრძელდება. რამდენიმე კვირის წინ მან განაცხადა, ისევ ფაბიო კაპელოს გუნდში მინდა თამაშიო და, ცხადია, მყისვე კივუს „იუვენტუსში" გადასვლაზე ალაპარაკდნენ. თანაც ტურინელები მისდამი ინტერესს არც არასდროს მალავდნენ. თუმცა, ახლა საქმე სხვაგვარადაა — გავრცელებული ცნობით, „აიაქსის" ყოფილი კაპიტნის შეძენა „მილანს" სურს.

მოგეხსენებათ, კარლო ანჩელოტის გუნდს დაცვაში გარკვეული პრობლემები აქვს. „როსონერიმ" სერია A-ს 14 მატჩში 15 გოლი გაუშვა, რაც მილანელთათვის ცუდი შედეგია. ამბობენ, „შავ-წითლები" მზად არიან, ტრანსფერი იანვარშივე გაჩარხონო.

იტალიურ ჟურნალ-გაზეთებს თუ ვენდობით, „მილანი" რომაელებს ფულთან ერთად დარიო შიმიჩს ან კახა კალაძეს შესთავაზებენ. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ საუბარი იყო, „სან სიროზე" ჯონათან ძებინას გადასვლის შესახებაც, თუმცა „იუვენტუსს" ფრანგ მცველთან განშორება ჯერ არ გადაუწყვეტია.

რაც შეეხება თავად კივუს, წესით, იგი „მილანში" გადასვლაზეც ყაბულს იქნება. ყოველ შემთხვევაში, რუმინელის ბოლოდროინდელი განცხადებებიდან ჩანს, რომ იგი „რომას" დატოვებაზე ფიქრობს.

**კოკი კანდელაკი**

# გაზამ დაგაზა



პოლ გესქოინი

**პოლ გესქოინის** სამწვრთნელო კარიერა შეწყდა. „გაზა" ინგლისის კონფერენციის მეორე ლიგის „კეტერინგს" თავკაცობდა, მაგრამ ახალმა პატრონმა დიდი პოლი სამსახურიდან დაითხოვა, პატრონი კი იმრაან ლადაკი გახლავთ.

იმრაან ლადაკმა გესქოინს თანაშემწე პოლ დევისიც მიაყოლა, რადგან კლუბის მთავარმა მეწილემ ასე ისურვა, თან გათავისუფლების მიზეზი მწვრთნელებს, ფაქტობრივად, არ დაუსახელა.

„გასული კვირის ბოლოს ვიმსჯელეთ და დავადგინეთ, რომ პოლ გესქოინს უფლებამოსილება შევუწყვიტოთ. მას მსოფლიოში უდიდესი ავტორიტეტი აქვს, თუმც მწვრთნელობის შესანარჩუნებლად ეს არ კმარა. ამჟამად კლუბის მთავარი მიზანი ახალი თავკაცის მოძებნაა, ვიდრე გესქოინის გაშვების მიზეზის ძიება".

**ვაჟა ხუციშვილი**

# სისეს ველოდრომზე ელოდებიან

**ფრანგული** „მარსელის" თავმჯდომარე პაპე დიუფმა აღიარა, რომ კლუბი ჯიბრილ სისეს დაბრუნებას ცდილობს და მიზანთან ახლოსაა. სამშობლოში დაბრუნებაზე უარი, წესით, არც თავად „ოსერის" ყოფილმა ვარსკვლავმა უნდა თქვას, რადგანაც იგი „ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და ამით უკმაყოფილოა.

„მოლაპარაკებები მართლაც მიმდინარეობს და ძალიან გაგვიხარდება, თუ წარმატებით დასრულდება. სისე „ენფილდზე" თავისი მდგომარეობით არც ისე კმაყოფილია, ხოლო ჩვენ ვეცდებით, ყველა პირობა შევუქმნათ" — აღნიშნა პაპე დიუფმა.



ჯიბრილ სისე

საუბარია მოკლევადიან კონტრაქტზე — „მარსელს" სისეს თხოვება ექვსი თვით უნდა, გამოსყიდვის პერსპექტივით.

**კოკი კანდელაკი**

## იტალია

### სერია A. XIV ტური

**ლეჩე 2:2 რომა**

0:1 კასანო (21), 0:2 ნონდა (45), 1:2 კოცოლინო (52), 2:2 ვუჩინიჩი (57პ)

ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, მარიანინი, ლედესმა (დელ ვეკიო 46), პინარდი (კოცოლინო 33), კონანი, ვუჩინიჩი, ხ. ვალდესი (ჯორჯინო 88)

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

რომა: დონი, პანუჩი, კუფური, კივუ, კუფრე, ტადეი, პეროტა, დე როსი (აკილანი 58), ტომაზი, ა. კასანო (ხ. ალვარესი 82), ნონდა

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პინარდი, დე როსი, პანუჩი, ნონდა, ვალდესი

მსაჯი: რიცოლი

13 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 14 | 13 | 0 | 1 | 31:8 | 39 |
| მილანი | 14 | 10 | 1 | 3 | 30:15 | 31 |
| ინტერი | 14 | 9 | 2 | 3 | 25:11 | 29 |
| ფიორენტინა | 14 | 9 | 2 | 3 | 29:16 | 29 |
| კიევო | 14 | 6 | 6 | 2 | 18:13 | 24 |
| სამპდორია | 14 | 7 | 2 | 5 | 25:19 | 23 |
| ლაციო | 14 | 6 | 4 | 4 | 19:19 | 22 |
| ლივორნო | 14 | 6 | 4 | 4 | 13:15 | 22 |
| რომა | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 20 |
| უდინეზე | 14 | 6 | 2 | 6 | 15:19 | 20 |
| პალერმო | 14 | 4 | 7 | 3 | 22:21 | 19 |
| ემპოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:22 | 17 |
| რეჯინა | 14 | 5 | 1 | 8 | 15:20 | 16 |
| სიენა | 14 | 4 | 3 | 7 | 20:26 | 15 |
| ასკოლი | 14 | 2 | 7 | 5 | 13:17 | 13 |
| პარმა | 14 | 3 | 3 | 8 | 14:23 | 12 |
| მესინა | 14 | 1 | 6 | 7 | 11:20 | 9 |
| კალიარი | 14 | 1 | 6 | 7 | 12:22 | 9 |
| ტრევიზო | 14 | 1 | 5 | 8 | 8:21 | 8 |
| ლეჩე | 14 | 2 | 2 | 10 | 11:25 | 8 |

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XIV ტური

**სევილია 0:2 დეპორტივო**

0:1 ტრისტანი (24), 0:2 ვიქტორი (41)

სევილია: პალოპი, დავიდი (ხორდი 46), დრაგუტინოვიჩი, აიტორ ოსიო, დანიელ ალვესი, ხ. ნავასი, ადრიანუ (პაბლო რუისი 73), მარტი, მარესკა, სავიოლა (კეპა 59), კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ხუანმა, დუშერი, სერხიო, ვიქტორი (რომერო 64), ვალერონი (სკალონი 75), ტრისტანი (ტაბორდა 59), მუნიტისი

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: მუნიტისი, სერხიო, დუშერი, დანიელ ალვესი, დრაგუტინოვიჩი, ადრიანუ, დავიდი, ტრისტანი, მანუელ პაბლო, კანუტი, დანიელ ალვესი, ხ. ნავასი, აიტორ ოსიო, სკალონი

გაძევება: მარესკა (20), დანიელ ალვესი (68)

მსაჯი: მეხია დავილა

45 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 14 | 9 | 4 | 1 | 36:12 | 31 |
| ოსასუნა | 14 | 10 | 1 | 3 | 21:14 | 31 |
| სელტა | 14 | 8 | 2 | 4 | 18:15 | 26 |
| რეალი | 14 | 8 | 1 | 5 | 25:16 | 25 |
| ვალენსია | 14 | 7 | 4 | 3 | 21:16 | 25 |
| ვილიარეალი | 14 | 6 | 5 | 3 | 20:14 | 23 |
| დეპორტივო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:14 | 23 |
| სევილია | 14 | 6 | 5 | 3 | 13:8 | 23 |
| ხეტაფე | 14 | 6 | 3 | 5 | 20:19 | 21 |
| სოსიედადი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:28 | 18 |
| ატლეტიკო | 14 | 4 | 5 | 5 | 14:14 | 17 |
| მალაგა | 14 | 4 | 3 | 7 | 21:20 | 15 |
| მალიორკა | 14 | 4 | 3 | 7 | 14:22 | 15 |
| სარაგოსა | 14 | 2 | 8 | 4 | 14:18 | 14 |
| კადისი | 14 | 3 | 5 | 6 | 10:15 | 14 |
| ესპანიოლი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:18 | 13 |
| რასინგი | 14 | 2 | 6 | 6 | 9:17 | 12 |
| ბილბაო | 14 | 2 | 5 | 7 | 13:19 | 11 |
| ალავესი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:22 | 11 |
| ბეტისი | 14 | 2 | 5 | 7 | 10:22 | 11 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XXI ტური

რაპიდი — პაშინგი 3:1; შტურმი — ტიროლი 2:3; მატერსბურგი — აუსტრია 0:2; ადმირა — გრაცერი 2:0; რიდი — ზალცბურგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 20 | 11 | 4 | 5 | 25:17 | 37 |
| ზალცბურგი | 21 | 12 | 1 | 8 | 31:24 | 37 |
| რაპიდი | 21 | 9 | 7 | 5 | 36:24 | 34 |
| რიდი | 21 | 8 | 9 | 4 | 33:25 | 33 |
| გრაცერი | 20 | 9 | 4 | 7 | 29:23 | 31 |
| პაშინგი | 21 | 8 | 6 | 7 | 24:19 | 30 |
| შტურმი | 21 | 6 | 7 | 8 | 26:31 | 25 |
| ტიროლი | 21 | 5 | 9 | 7 | 22:30 | 24 |
| მატერსბურგი | 21 | 6 | 4 | 11 | 24:35 | 22 |
| ადმირა | 21 | 3 | 3 | 15 | 24:46 | 12 |

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XVII ტური

**ლანსი 2:1 სენტ ეტიენი**

0:1 პერენი (24), 1:1 ტომერი (33), 2:1 კუზინი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 17 | 13 | 4 | 0 | 29:10 | 43 |
| ოსერი | 17 | 10 | 2 | 5 | 26:19 | 32 |
| ბორდო | 17 | 8 | 7 | 2 | 17:10 | 31 |
| ლანსი | 17 | 6 | 10 | 1 | 25:14 | 28 |
| მონაკო | 17 | 8 | 3 | 6 | 18:13 | 27 |
| პსჟ | 17 | 8 | 3 | 6 | 20:17 | 27 |
| ლილი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:14 | 26 |
| რენი | 17 | 8 | 2 | 7 | 21:27 | 26 |
| სენტ ეტიენი | 17 | 6 | 7 | 4 | 17:12 | 25 |
| მარსელი | 17 | 7 | 4 | 6 | 19:21 | 25 |
| ლე მანი | 17 | 6 | 4 | 7 | 16:14 | 22 |
| ნანსი | 17 | 6 | 3 | 8 | 18:14 | 21 |
| ნანტი | 17 | 6 | 3 | 8 | 18:20 | 21 |
| სოშო | 17 | 5 | 5 | 7 | 10:15 | 20 |
| ნიცა | 17 | 4 | 7 | 6 | 12:16 | 19 |
| ტულუზი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:22 | 19 |
| ტრუა | 17 | 4 | 6 | 7 | 14:20 | 18 |
| აიაჩო | 17 | 2 | 6 | 9 | 9:21 | 12 |
| მეცი | 17 | 1 | 7 | 9 | 9:26 | 10 |
| სტრასბური | 17 | 0 | 8 | 9 | 8:20 | 8 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XIII ტური

**ბრაგა 0:1 სეტუბალი**

0:1 ფაბიუ (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 13 | 8 | 4 | 1 | 20:8 | 28 |
| ნასიონალი | 13 | 8 | 3 | 2 | 15:5 | 27 |
| სეტუბალი | 13 | 8 | 2 | 3 | 11:3 | 26 |
| ბრაგა | 13 | 8 | 2 | 3 | 13:6 | 26 |
| სპორტინგი | 13 | 7 | 3 | 3 | 18:15 | 24 |
| ბენფიკა | 13 | 6 | 4 | 3 | 20:12 | 22 |
| ბოავიშტა | 13 | 5 | 7 | 1 | 20:12 | 22 |
| ფერეირა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:17 | 18 |
| აკადემიკა | 13 | 5 | 2 | 6 | 12:16 | 17 |
| რიუ ავე | 13 | 4 | 4 | 5 | 17:19 | 16 |
| მარიტიმუ | 13 | 3 | 6 | 4 | 14:15 | 15 |
| ბელენენსეში | 13 | 4 | 2 | 7 | 14:16 | 14 |
| ამადორა | 13 | 3 | 4 | 6 | 9:13 | 13 |
| ლეირია | 12 | 3 | 3 | 6 | 12:16 | 12 |
| ნავალი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:21 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 13 | 3 | 2 | 8 | 9:17 | 11 |
| გიმარაეში | 12 | 3 | 1 | 8 | 7:17 | 10 |
| პენაფიელი | 13 | 1 | 4 | 8 | 10:22 | 7 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XV ტური

ლიბერეცი — ზლინი 1:0; სპარტა — პრჟიბრამი 1:1; სლოვაცკო — პლზენი 1:0; ბანიკი — სლავია 1:3; ბრნო — მოსტი 1:0; ბლშანი — იაბლონეცი 1:0; ტეპლიცე — სიგმა 1:0. იჰლავა — ბოლესლავი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 15 | 10 | 4 | 1 | 26:11 | 34 |
| ტეპლიცე | 15 | 8 | 5 | 2 | 19:10 | 29 |
| სლავია | 15 | 7 | 5 | 3 | 28:18 | 26 |
| სიგმა | 15 | 7 | 2 | 6 | 22:23 | 23 |
| პრჟიბრამი | 15 | 5 | 6 | 4 | 21:17 | 21 |
| იაბლონეცი | 15 | 6 | 3 | 6 | 22:19 | 21 |
| ბოლესლავი | 14 | 6 | 3 | 5 | 23:23 | 21 |
| ბანიკი | 15 | 5 | 5 | 5 | 15:16 | 20 |
| ზლინი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:16 | 19 |
| პლზენი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:18 | 17 |
| სპარტა | 15 | 5 | 2 | 8 | 23:27 | 17 |
| იჰლავა | 14 | 4 | 5 | 5 | 12:18 | 17 |
| სლოვაცკო | 15 | 3 | 7 | 5 | 15:18 | 16 |
| ბლშანი | 15 | 3 | 6 | 6 | 14:25 | 15 |
| ბრნო | 15 | 3 | 5 | 7 | 17:21 | 14 |
| მოსტი | 15 | 4 | 1 | 10 | 14:21 | 13 |

## დანია

### სუპერლიგა. XX ტური

მიდტიულანდი — ოდენსე 1:2; კოპენჰაგენი — ვიბორგი 3:1; ჰორსენსი — ორჰუსი 2:1; ნორდსიელანდი — ბრონდბიუ 0:2; სილკებორგი — ოლბორგი 1:4; სიონდერისკე — ესბიერგი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 20 | 15 | 4 | 1 | 40:13 | 49 |
| ბრონდბიუ | 20 | 14 | 3 | 3 | 40:17 | 45 |
| ვიბორგი | 20 | 11 | 4 | 5 | 38:24 | 37 |
| ოდენსე | 20 | 9 | 5 | 6 | 30:22 | 32 |
| ოლბორგი | 20 | 7 | 6 | 7 | 28:25 | 27 |
| ნორდსიელანდი | 20 | 6 | 7 | 7 | 29:27 | 25 |
| ესბიერგი | 20 | 6 | 5 | 9 | 26:30 | 23 |
| მიდტიულანდი | 20 | 5 | 6 | 9 | 27:39 | 21 |
| სილკებორგი | 20 | 5 | 5 | 10 | 17:32 | 20 |
| ჰორსენსი | 20 | 3 | 10 | 7 | 14:26 | 19 |
| ორჰუსი | 20 | 3 | 7 | 10 | 27:41 | 16 |
| სიონდერისკე | 20 | 3 | 4 | 13 | 26:46 | 13 |

## მექსიკა

### კლაუსურა. პლეი ოფი

### 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ამერიკა 1:4 *ტიგრესი* (3:1)**

**კრუზ ასული 0:0 *ტოლუკა* (0:1)**

***მონტერეი* 4:0 ტეკოსი (3:0)**

**ნეკაქსა 0:2 *პაჩუკა* (0:2)**

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XVII ტური

თუნი — იანგ ბოისი 1:1; ბაზელი — გრასჰოპერი 1:0; სენტ გალენი — ქსამაქსი 7:1; ციურიხი — ივერდონი 1:1; აარაუ — შაფჰაუზენი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 16 | 12 | 3 | 1 | 39:18 | 39 |
| ციურიხი | 17 | 9 | 4 | 4 | 42:24 | 31 |
| გრასჰოპერი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:18 | 29 |
| იანგ ბოისი | 17 | 7 | 7 | 3 | 25:18 | 28 |
| თუნი | 17 | 7 | 3 | 7 | 30:30 | 24 |
| სენტ გალენი | 17 | 6 | 4 | 7 | 29:27 | 22 |
| ივერდონი | 17 | 5 | 3 | 9 | 23:30 | 18 |
| აარაუ | 17 | 4 | 4 | 9 | 14:30 | 16 |
| შაფჰაუზენი | 17 | 3 | 4 | 10 | 12:28 | 13 |
| ქსამაქსი | 16 | 4 | 1 | 11 | 21:39 | 13 |

### ჩელენჯლიგა. XVII ტური

ბადენი — კონკორდია 1:0; ლოზანა — შო დე ფონი 4:3; ვოლენი — კიასო 0:0; იუვენტუსი — კრიენსი 2:3; ლუცერნი — ბოლმი 1:0; სიონი — ლუგანო 3:0; ვადუცი — ბელინცონა 2:4; ვილი — ლოკარნო 4:2; ვინტერთური — მეირინი 4:0

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XII ტური

კალითეა — კალამარია 0:0; ეგალეო — ოლიმპიაკოსი 1:3; ატრომიტოსი — პანათინაიკოსი 1:0; ლარისა — ლევადიაკოსი 1:0; ირაკლისი — იონიკოსი 2:1; აკრატიტოსი — ოფი 1:1; აეკ — პაოკ 2:1. პანიონიოსი — ქსანთი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 12 | 10 | 0 | 2 | 26:7 | 30 |
| აეკ | 12 | 9 | 2 | 1 | 18:6 | 29 |
| პანათინაიკოსი | 12 | 7 | 2 | 3 | 17:10 | 23 |
| ქსანთი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:10 | 20 |
| პაოკ | 12 | 5 | 4 | 3 | 19:11 | 19 |
| ირაკლისი | 12 | 5 | 2 | 5 | 13:15 | 17 |
| ლარისა | 12 | 4 | 4 | 4 | 16:13 | 16 |
| ეგალეო | 12 | 3 | 7 | 2 | 10:11 | 16 |
| ატრომიტოსი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:12 | 15 |
| იონიკოსი | 12 | 3 | 6 | 3 | 16:18 | 15 |
| ოფი | 12 | 2 | 6 | 4 | 9:15 | 12 |
| კალამარია | 12 | 3 | 3 | 6 | 8:17 | 12 |
| ლევადიაკოსი | 12 | 2 | 4 | 6 | 7:12 | 10 |
| პანიონიოსი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:20 | 9 |
| აკრატიტოსი | 12 | 1 | 4 | 7 | 6:14 | 7 |
| კალითეა | 12 | 1 | 4 | 7 | 7:17 | 7 |

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XVIII ტური

ტავრია — კრივბასი 1:0; არსენალი — ვოლინი 2:1; სტალი — დინამო 1:2; ზაკარპატია — ჩერნომორეცი 2:1; ილიჩევეცი — მეტალურგი (დ) 1:0; მეტალისტი — ვორსკლა 0:1; შახტარი — ხარკოვი 3:0; მეტალურგი (ზ) — დნიპრო 1:0

## არგენტინა

### აპერტურა. XVIII ტური

არგ. ხუნიორსი — ბანფილდი 1:1; კილმესი — ტირო ფედერალი 1:2; როსარიო — ესტუდიანტესი 1:1; სან ლორენსო — კოლონი 1:4; ხიმნასია (ხ) — ოლიმპო 2:1; ინსტიტუტო — არსენალი 0:2; ლანუსი — ველესი 0:4; რასინგი — რივერ პლეიტი 1:1. ხიმნასია (ლ) — ოლდ ბოისი და ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე წუხელ გვიან დამთავრდა

## ბრაზილია

### სერია A. XLII ტური

სან პაულუ — ატლ. პარანენსე 3:1; ჟუვენტუდე — ატლ. მინეირო 1:3; ფიგეირენსე — სანტოსი 3:1; პონტე პრეტა — ბრაზილიენსე 3:1; პაისანდუ — ფლამენგო 1:4; ვასკუ და გამა — პარანა 3:1; კურიტიბა — ინტერნასიონალი 1:0; ბოტაფოგო — ფორტალეზა 2:0; კრუზეირო — სან კაეტანო 1:3; პალმეირასი — ფლუმინენსე 3:2; გოიასი — კორინთიანსი 3:2

## ურუგვაი

### აპერტურა. XV ტური

ფენიქსი — პლაზა კოლონია 2:0; რამპლა — ტაკუარემბო 4:1; დეპორტივო კოლონია — სერო 0:1; პენიაროლი — სუდ ამერიკა 0:0; მირამარი — როჩა 3:3; რენტისტასი — უონდერერსი 2:2; დანუბიო — პაისანდუ 3:3; ლივერპული — რივერ პლეიტი 2:1; ნასიონალი — დეფენსორ სპორტინგი 2:2

## ირლანდია

### ასოციაციის თასის ფინალი

**კორკ სიტი 0:2 დროჰედა**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე


**ინგლისი. I ლიგა**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 26 | ბარნსლი-ტრანმერი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 23:45 | 27 | ბლეკპული-ბორნმუთი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 28 | ბრენტფორდი-იოვილი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:45 | 29 | ბრისტოლი-ბრედფორდი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:45 | 30 | ჯილინგემი-დონკასტერი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 23:45 | 31 | ჰარტლეპული-კოლჩესტერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 32 | დონსი-ჰადერსფილდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 23:45 | 33 | ნოტინგემი-პორტ ვეილი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 23:45 | 34 | ოლდემი-უოლსოლი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 36 | საუთენდი-ჩესტერფილდი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 37 | სვონსი-სკანთორპი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |

**ინგლისი. II ლიგა**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 51 | ჩელტენჰემი-ოქსფორდი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 23:45 | 52 | გრიმსბი-როჩდეილი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 53 | ლეიტონი-ჩესტერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 55 | პიტერბორო-ნოტსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 56 | რაშდენი-კარლაილი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 23:45 | 57 | შრუსბერი-დარლინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 58 | სტოკპორტი-როვერსი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 59 | ტორკი-ნორთჰემპტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 23:45 | 60 | რექსემი-მენსფილდი | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 23:45 | 61 | უიკომბი-ბოსტონი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |

**ინგლისი. კონფერენსი**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 74 | გრეისი-ალტრინჩემი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**10 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 89 | ჰარტსი-ინვერნესი | 1.00 | | | | | |

**შოტლანდია. II დივიზიონი**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 98 | მორტონი-აირი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |

**7 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 99 | სტირლინგი-დამბარტონი | 2.05 | 3.50 | 2.90 | 1.29 | 1.20 | 1.58 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 618 | დუისბურგი-კიოლნი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 120 | ვატენშაიდი-ემდენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 619 | მიუნსტერი-ლევერკუზენი(მ) | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 620 | მიუნხენი1860(მ)-აუგსბურგი | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
**8 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 139 | აუსტრია-რიდი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 21:30 | 140 | გრაცერი-მატერსბურგი | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 21:30 | 141 | პაშინგი-შტურმი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 21:30 | 142 | ტიროლი-ადმირა | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

**იტალია. სერია A**
**10 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 150 | სიენა-ემპოლი | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 23:30 | 151 | ფიორენტინა-ტრევიზო | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |

**11 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 153 | ასკოლი-რეჯინა | 2.10 | 3.00 | 3.35 | 1.23 | 1.29 | 1.58 |
| 18:00 | 154 | იუვენტუსი-კალიარი | 1.15 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.19 |
| 18:00 | 156 | ლივორნო-ლაციო | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 18:00 | 157 | მესინა-კიევო | 2.70 | 2.90 | 2.65 | 1.39 | 1.33 | 1.38 |
| 18:00 | 158 | პარმა-სამპდორია | 2.65 | 2.90 | 2.70 | 1.38 | 1.33 | 1.39 |
| 18:00 | 159 | რომა-პალერმო | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 18:00 | 160 | უდინეზე-ლეჩე | 1.55 | 3.70 | 5.30 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 23:30 | 161 | ინტერი-მილანი | 2.90 | 2.90 | 2.40 | 1.45 | 1.31 | 1.31 |

**ესპანეთი. I დივიზიონი.**
**11 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 191 | ატლეტიკო-ალავესი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 21:00 | 192 | ბარსელონა-სევილია | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 21:00 | 193 | ბეტისი-ესპანიოლი | 2.10 | 3.10 | 3.35 | 1.25 | 1.29 | 1.61 |
| 21:00 | 194 | ხეტაფე-რასინგი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 195 | დეპორტივო-კადისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 21:00 | 196 | მალაგა-რეალი | 3.50 | 3.20 | 2.00 | 1.67 | 1.27 | 1.23 |
| 21:00 | 197 | ოსასუნა-მალიორკა | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 21:00 | 199 | სოსიედადი-ვილიარეალი | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 21:00 | 200 | ვალენსია-ბილბაო | 1.55 | 3.60 | 5.60 | 1.08 | 1.21 | 2.19 |
| 21:00 | 202 | სარაგოსა-სელტა | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 255 | აპელდოორნი-ტელსტარი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:00 | 256 | ვეენდამი-ჰელმონდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:00 | 257 | გრააფსხაპი-ზვოლე | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 23:00 | 258 | დორდრეხტი-ალმერე | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 23:00 | 259 | იგლსი-ემენი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 23:00 | 260 | ექსელსიორი-სიტარდი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |

**ჩემპიონთა ლიგა**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 23:45 | 366 | ჩელსი-ლივერპული | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 367 | ლიონი-როზენბორგი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 23:45 | 368 | მილანი-შალკე | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 23:45 | 369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 2.80 | 3.20 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| 23:45 | 370 | პეტრჟალკა-პორტუ | 3.10 | 3.30 | 2.15 | 1.59 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 371 | პსვ-ფენერბაჩე | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 23:45 | 372 | რეინჯერსი-ინტერი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |

**7 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 373 | არსენალი-აიაქსი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 23:45 | 374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 3.20 | 3.30 | 2.10 | 1.62 | 1.26 | 1.28 |
| 23:45 | 375 | ბრიუგე-ბაიერნი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 23:45 | 376 | რაპიდი-იუვენტუსი | 6.20 | 3.70 | 1.50 | 2.31 | 1.20 | 1.06 |
| 23:45 | 377 | სპარტა-თუნი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 23:45 | 378 | უდინეზე-ბარსელონა | 3.20 | 2.70 | 2.45 | 1.46 | 1.38 | 1.28 |
| 23:45 | 379 | ვილიარეალი-ლილი | 1.70 | 3.20 | 5.10 | 1.11 | 1.27 | 1.96 |
| 23:45 | 380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |

**როიალ ლიგა**
**8 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 392 | გიოტებორგი-ოლბორგი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 21:00 | 393 | კალმარი-ლილესტრიომი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 21:00 | 394 | სტარტი-მიდტიულანდი | 2.15 | 3.20 | 3,00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:30 | 395 | ლინი-იურგორდენი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:35 | 396 | კოპენჰაგენი-ბრიონდბიუ | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:35 | 397 | ჰამარბი-ვოლერენგა | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |

**ჰოკეი. შვედეთი**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 495 | ლულეო-ჰვ 71 | 2.30 | 4.20 | 2.10 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| 22:00 | 496 | ტიმრე-ფერიესტადი | 2.40 | 4.10 | 2.05 | 1.51 | 1.10 | 1.36 |
| 22:00 | 497 | ლინჩოპინგი-მოდო | 1.45 | 4.40 | 3.80 | 1.09 | 1.04 | 2.03 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 530 | ზლინი-სლავია | 2.10 | 4.00 | 2.30 | 1.37 | 1.09 | 1.46 |
| 20:00 | 531 | ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 1.70 | 4.20 | 3.00 | 1.21 | 1.08 | 1.75 |
| 20:30 | 532 | კლადნო-ტრჟინეცი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 20:30 | 533 | პლზენი-ლიტვინოვი | 1.75 | 4.20 | 2.90 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| 20:30 | 534 | ზნოიმო-ლიბერეცი | 2.15 | 4.10 | 2.20 | 1.41 | 1.08 | 1.43 |
| 21:00 | 535 | პარდუბიცე-ვსეტინი | 1.45 | 4.40 | 4.30 | 1.09 | 1.08 | 2.17 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 550 | მიკულაში-სლოვანი | 2.30 | 4.00 | 2.05 | 1.46 | 1.08 | 1.35 |
| 20:00 | 551 | კოშიცე-მარტინი | 1.35 | 4.50 | 4.80 | 1.03 | 1.05 | 2.32 |
| 20:00 | 552 | ჟილინა-სკალიცა | 1.75 | 4.10 | 2.90 | 1.22 | 1.09 | 1.69 |
| 20:00 | 553 | ნიტრა-ტრენჩინი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 20:00 | 554 | პოპრადი-ზვოლენი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |

**ჰოკეი. გერმანია**
**6 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 565 | აუგსბურგი-ფრანკფურტი | 2.50 | 4.20 | 1.80 | 1.56 | 1.04 | 1.25 |
| 22:30 | 566 | ჰანოვერი-კასელი | 1.50 | 4.40 | 3.80 | 1.11 | 1.07 | 2.03 |
| 22:30 | 567 | იზერლონი-მანჰაიმი | 2.25 | 4.10 | 2.10 | 1.45 | 1.08 | 1.38 |
| 22:30 | 568 | აისბარენი-კრეფელდი | 1.60 | 4.40 | 3.30 | 1.17 | 1.07 | 1.88 |
| 22:30 | 569 | კიოლნი-ინგოლშტადი | 1.95 | 4.30 | 2.40 | 1.34 | 1.07 | 1.54 |
| 22:30 | 570 | დიუსელდორფი-ჰამბურგი | 1.75 | 4.30 | 2.80 | 1.24 | 1.07 | 1.69 |
| 22:30 | 571 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.30 | 4.10 | 2.10 | 1.47 | 1.09 | 1.38 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.85 | 2.20 | 6.70 | 1.00 | 1.44 | 1.65 |
| 10366 | ჩელსი-ლივერპული | 2.00 | 2.10 | 5.85 | 1.02 | 1.49 | 1.54 |
| 10367 | ლიონი-რუსენბორგი | 1.55 | 2.70 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 2.01 |
| 10368 | მილანი-შალკე | 1.90 | 2.20 | 6.80 | 1.01 | 1.48 | 1.66 |
| 10369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10370 | პეტრჟალკა-პორტუ | 3.50 | 2.00 | 2.55 | 1.27 | 1.47 | 1.12 |
| 10371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 1.95 | 2.20 | 6.30 | 1.03 | 1.48 | 1.63 |
| 10372 | რეინჯერსი-ინტერი | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10373 | არსენალი-აიაქსი | 1.95 | 2.10 | 6.30 | 1.01 | 1.48 | 1.57 |
| 10374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 3.65 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10375 | ბრიუგე-ბაიერნი | 5.80 | 2.00 | 2.05 | 1.48 | 1.51 | 1.01 |
| 10376 | რაპიდი-იუვენტუსი | 6.00 | 2.10 | 1.95 | 1.55 | 1.47 | 1.01 |
| 10377 | სპარტა-თუნი | 2.25 | 2.10 | 4.65 | 1.08 | 1.51 | 1.44 |
| 10378 | უდინეზე-ბარსელონა | 3.20 | 1.90 | 2.95 | 1.19 | 1.53 | 1.15 |
| 10379 | ვილიარეალი-ლილი | 2.15 | 2.00 | 5.40 | 1.03 | 1.53 | 1.45 |
| 10380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.70 | 2.40 | 7.50 | 1.00 | 1.38 | 1.81 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.85 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11366 | ჩელსი-ლივერპული | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11367 | ლიონი-რუსენბორგი | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11368 | მილანი-შალკე | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11370 | პეტრჟალკა-პორტუ | 4.80 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11372 | რეინჯერსი-ინტერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11373 | არსენალი-აიაქსი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11375 | ბრიუგე-ბაიერნი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11376 | რაპიდი-იუვენტუსი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.10 |
| 11377 | სპარტა-თუნი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11378 | უდინეზე-ბარსელონა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.50 | 4.00 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.70 |
| 11379 | ვილიარეალი-ლილი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.90 | 12.00 | 25.00 | 3:50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.70 | 1.90 |
| 12366 | ჩელსი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 12367 | ლიონი-რუსენბორგი | 2.00 | 1.60 |
| 12368 | მილანი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12370 | პეტრჟალკა-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 12371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 1.70 | 1.90 |
| 12372 | რეინჯერსი-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12373 | არსენალი-აიაქსი | 1.90 | 1.70 |
| 12374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12375 | ბრიუგე-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 12376 | რაპიდი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12377 | სპარტა-თუნი | 1.70 | 1.90 |
| 12378 | უდინეზე-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12379 | ვილიარეალი-ლილი | 1.50 | 2.20 |
| 12380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 2.20 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.90 | 1.70 |
| 13366 | ჩელსი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13367 | ლიონი-რუსენბორგი | 1.90 | 1.70 |
| 13368 | მილანი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13370 | პეტრჟალკა-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 13371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 13372 | რეინჯერსი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13373 | არსენალი-აიაქსი | 1.90 | 1.70 |
| 13374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13375 | ბრიუგე-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 13376 | რაპიდი-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 13377 | სპარტა-თუნი | 1.70 | 1.90 |
| 13378 | უდინეზე-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13379 | ვილიარეალი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.20 | 2.60 |
| 14366 | ჩელსი-ლივერპული | 1.30 | 2.50 |
| 14367 | ლიონი-რუსენბორგი | 1.06 | 2.90 |
| 14368 | მილანი-შალკე | 1.25 | 2.40 |
| 14369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.95 | 1.80 |
| 14370 | პეტრჟალკა-პორტუ | 2.10 | 1.75 |
| 14371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 1.30 | 2.50 |
| 14372 | რეინჯერსი-ინტერი | 1.80 | 2.00 |
| 14373 | არსენალი-აიაქსი | 1.30 | 2.50 |
| 14374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 2.10 | 1.75 |
| 14375 | ბრიუგე-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14376 | რაპიდი-იუვენტუსი | 2.50 | 1.30 |
| 14377 | სპარტა-თუნი | 1.60 | 2.30 |
| 14378 | უდინეზე-ბარსელონა | 1.95 | 1.85 |
| 14379 | ვილიარეალი-ლილი | 1.40 | 2.40 |
| 14380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15366 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15367 | ლიონი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15368 | მილანი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15370 | პეტრჟალკა-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15372 | რეინჯერსი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15373 | არსენალი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15375 | ბრიუგე-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15376 | რაპიდი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15377 | სპარტა-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15378 | უდინეზე-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15379 | ვილიარეალი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.12 | 4.00 |
| 16366 | ჩელსი-ლივერპული | 1.15 | 3.80 |
| 16368 | მილანი-შალკე | 1.09 | 4.60 |
| 16369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.90 | 1.60 |
| 16370 | პეტრჟალკა-პორტუ | 2.10 | 1.45 |
| 16371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 1.13 | 3.80 |
| 16372 | რეინჯერსი-ინტერი | 1.50 | 2.00 |
| 16373 | არსენალი-აიაქსი | 1.15 | 3.80 |
| 16374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 2.00 | 1.50 |
| 16375 | ბრიუგე-ბაიერნი | 3.40 | 1.20 |
| 16376 | რაპიდი-იუვენტუსი | 3.80 | 1.15 |
| 16377 | სპარტა-თუნი | 1.30 | 2.60 |
| 16378 | უდინეზე-ბარსელონა | 1.80 | 1.55 |
| 16379 | ვილიარეალი-ლილი | 1.20 | 3.00 |
| 16380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.05 | 5.50 |

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17365 | ბეტისი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17366 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17367 | ლიონი-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17368 | მილანი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17369 | ოლიმპიაკოსი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17370 | პეტრჟალკა-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17371 | პსვ-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17372 | რეინჯერსი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17373 | არსენალი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17374 | ბენფიკა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17375 | ბრიუგე-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17376 | რაპიდი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17377 | სპარტა-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17378 | უდინეზე-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17379 | ვილიარეალი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17380 | ვერდერი-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## საქართველოს ჩემპიონატი



„ავიამშენისა“ და „აზოტის“ შეხვედრის მომენტი

# პრემიის ძალა

## დინამომ ნიკორა ანერვიულა

5 დეკემბერი. ვერის ბაღი

**სტუ 111:78 სსუ**

*28:26 19:22 25:16 29:14*

**სტუ:** ნინუა (4), მიქაძე (14), ხეცურიანი (27), ლ. შანიძე (17), მათიაშვილი (16); მურჯიკნელი (8), ახალკაცი (6), კოხრეიძე (10), კეიდია (3), ლ. ლოსაბერიძე (2), ბერბიჭაშვილი (4), ათანელაშვილი

**სსუ:** თორთლაძე (27), პატარაია, ბენდიანიშვილი, ლ. ნოზაძე, ქვილითაია (8); ონიკაშვილი (12), კორძაძე (8), ჯიქია (4), ჯგერენაია (19), მეტრეველი

**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 88:78 აზოტი**

*15:25 22:22 23:22 28:9*

**ავიამშენი:** ნიკოლაძე (4), ბ. ბერიშვილი, მარკოიშვილი (29), ორმოცაძე (8), ბ. ნოზაძე (6); დ. ბერიშვილი (4), ნინიაშვილი (4), ხოშტარია (13), წოწელია (2), მინაშვილი (18), ჩხატარაშვილი

**აზოტი:** ჟღენტი (4), ლიპარტელიანი (12), გოგობერიშვილი (15), ჭოჭუა (11), დანელიანი (9); არწივიძე (15), კურტანიძე (6), ცეკვავა (6), გოგსაძე

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ქუთაისი 84:88 მაკაბი**

*15:20 16:26 21:22 32:20*

**ქუთაისი:** გ. ლოსაბერიძე (7), პირტახია (6), ნარსია (26), ცერცვაძე (12), კოლუაშვილი (25); ჭულუხაძე (3), ყიფიანი (3), ნ. შანიძე (2)

**მაკაბი:** კორკოტაძე (7), დოლიძე (6), ფიცხელაური, ვაშაკიძე (26), გ. შერმადინი (30); აბულაძე (17), ენუქიძე (2), ს. შერმადინი, ჩერქეზიშვილი, მერებაშვილი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**თსუ-ნიკორა 95:76 დინამო**

*15:15 21:22 22:23 37:16*

**თსუ-ნიკორა:** ი. ბერიშვილი (15), ლეჟავა (12), კეშელავა (8), საყვარელიძე (5), ტყეშელაშვილი (13); მარხვაშვილი (30), ვეფხვაძე (12), ი. მაისურაძე, ბერაია, სანიკიძე, ხიზანიშვილი

**დინამო:** ბადრიძე (4), გულისაბედაშვილი (15), ვ. მაისურაძე (23), ლაფანაშვილი (5), სუხიშვილი (26); წივწივაძე (3), ძიძიგური, სიგუა

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ირაკლი პერტაია**

**მატჩისწინა** პრესკონფერენციაზე დინამოელთა თავკაცი დავით უსტიაშვილი დიდ გულზე იყო, „თსუ-ნიკორას“ დამარცხების კარგი შანსი გვაქვს და ვეცდებით, გამოვიყენოთო. ასეთი თამამი განცხადების გაკეთების საშუალებას „დინამოს“ მწვრთნელს ამ გუნდებს შორის არსებული ძალთა თანაფარდობა ნამდვილად არ აძლევდა, თსუ-ს გაცილებით გამოცდილი შემადგენლობა ჰყავს და ჩემპიონატსაც ლიდერობს, თუმცა გუშინდელმა შეხვედრამ უსტიაშვილის დანაქადნევი გაგვახსენა...

„დინამომ“ საბოლოოდ წააგო და დიდი სხვაობითაც, მაგრამ გამარჯვების შანსს ბოლო მეოთხედის შუაწელამდე ინარჩუნებდა და იმედი რომ გადაეწურა, სტუდენტებმა მერელა ამოავსეს მეტოქის კალათი.

უსტიაშვილის შეგირდებმა პირველი ტაიმიც მოუგეს ჯერაც დაუმარცხებელ თსუ-ს და გადამწყვეტი ათწუთეულის დაწყებამდეც ლიდერობდნენ, თუმცა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ყმაწვილკაცებისგან შემდგარმა „დინამომ“ დასანანად წააგო.

უსტიაშვილი ნამატჩევს ჩიოდა, ლიდერს 4 ქულას რომ უგებ და სამჯერ ფარქვეშიდან აცილებ, წააგებ, აბა, რა იქნებაო. „დინამო“ ტოლ-სწორად ეთამაშა ჩემპიონატის სხვა გამორჩეულ გუნდებსაც — „ავიამშენს“, სტუ-ს და მათთანაც გამოუცდელობის გამო დამარცხდა.

უშუალოდ თამაშზე ის უნდა ითქვას, რომ „დინამო“ თითქმის იგივე კალათბურთს თამაშობდა, რასაც „თსუ-ნიკორა“. სწრაფ, კონტრშეტევებზე აწყობილ თამაშში ორივე გუნდი სამქულიანებს გამოურევდა ხოლმე, რაც დინამოელებს სტუდენტებზე ცუდად არ გამოსდიოდათ.

თსუ-ს რომ არ ულხინდა, ამაში სტუდენტების დამრიგებელ მამუკა ტურაშვილის ნერვიულობაც დაგვარწმუნებდათ. პირველი ათწუთეულის შემდეგ, შესვენებისას, ტურაშვილი მოედანზე შევიდა და სათადარიგო სკამთან ჩამწკრივებულ თსუ-ელებს ფარქვეშა მოძრაობის სწორ მაგალითს უჩვენებდა, თან კომენტარსაც ურთავდა.

ერთი სიტყვით, თსუ-მ დიდი გაჭირვებით მიითვალა მორიგი გამარჯვება, „დინამომ“ კი ერთხელაც ცხადყო, რომ საზრიან კალათბურთს თამაშობს და თუ ბადრი პატარკაციშვილს გუნდისკენ გული მოუტრიალდება, ეს გუნდი უწინდელზე მეტს მიაღწევს.

გუშინდელი მატჩებიდან გამორჩევას იმსახურებს „ავიამშენისა“ და „აზოტის“ დაპირისპირებაც. რუსთაველებმა წინა ტურში მოგებული თამაში დათმეს თსუ-სთან და „ავიამშენმა“ როგორ უნდა შეგვაშინოსო, თბილისში გასამარჯვებლად ჩამოვიდნენ ქვემოქართლელები.

„აზოტს“ თბილისში გუნდის ახალი სპონსორის წარმომადგენელი ჩამოჰყვა, რომელიც მოგების შემთხვევაში პრემიებს ჰპირდებოდა რუსთაველებს. ფინანსური სტიმული რომ ბევრს ნიშნავს, ისედაც ვიცოდით და რუსთაველებმა ეს ერთხელაც დაადასტურეს. „აზოტი“ მთელი თამაშის განმავლობაში უგებდა „ავიამშენს“, სანამ ბოლო მეოთხედის შუაში ლევან მოსეშვილის შეგირდები არ გამოფხიზლდნენ.

რუსთაველები ყველა რგოლში ჩამორჩებიან ავიატორებს, თუმც გუშინ ისინი გამართულად თამაშობდნენ და ცოტაც რომ გამართლებოდათ, ხმაურიან სენსაციასაც გამოაცხობდნენ.

„აზოტს“ რამაზ გოგობერიშვილი წინამძღოლობდა, რომელსაც გვერდში მიხეილ ჭოჭუა ედგა. რუსთაველთა ახალგაზრდა უკანახაზელები — ლევან ცეკვავა და დავით არწივიძეც ტოლს არ უდებდნენ გამოცდილ მეტოქეებს და ბოლო მეოთხედის წინ „ავიამშენი“ მარცხის რეალური საფრთხის წინაშე დადგა — 69:61 „აზოტის“ სასარგებლოდ.

ვერ გეტყვით, რა უთხრა ლევან მოსეშვილმა თავის შეგირდებს შესვენებაზე, თუმც ავიატორები რომ ყოჩაღად ათამაშდნენ, ანგარიშს მყისვე დაეტყო. გიორგი მარკოიშვილი არც მანამდე აკლებდა ხელს რუსთაველებს, თუმც გადამწყვეტ მეოთხედში მის შორ ტყორცნებს ვახტანგ მინაშვილიც გამოეხმაურა ფარქვეშიდან და „ავიამშენმა“ ბრწყინვალედ ჩათამაშებული ბოლო სამი წუთის ხარჯზე მთლიანად მატჩი მოიგო.

დანარჩენი ორი შეხვედრა კი ერთობ ულიმღამო გამოდგა. „მაკაბიმ“ მზარდი ახალგაზრდის, გიორგი შერმადინის ქებული გარჯის წყალობით „ქუთაისს“ შანსი არ დაუტოვა, ხოლო მარტო დავით თორთლაძე სტუ-ს რას გაუმკვლავდებოდა და მებრძოლმა სსუ-მაც საბოლოოდ გვარიანი სხვაობით წააგო ტექნიკოსებთან.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ-კიორა | 10 | 10 | 0 | +144 | 20 |
| ავიამშენი | 10 | 9 | 1 | +260 | 19 |
| სტუ | 10 | 6 | 4 | -12 | 16 |
| აზოტი | 10 | 4 | 6 | -66 | 14 |
| დინამო | 10 | 4 | 6 | -76 | 14 |
| მაკაბი | 10 | 3 | 7 | -155 | 13 |
| ქუთაისი | 10 | 2 | 8 | -103 | 12 |
| სსუ | 10 | 2 | 8 | -197 | 12 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# არაფრისმქნელის გალაღება

## ჯონსონს ფინიქსში ჯოჯოხეთური დახვედრა მოუწყვეს, ფაჩულია კი მოედნიდან გააძევეს

4 დეკემბერი

**ნიუ იორკი 99: 102 ბოსტონი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (35 ქულა, 5 მოხსნა, 9 პასი), ფრაი (25 ქულა), ჯ. ბატლერი (10 ქულა)

**ბოსტონი:** პირსი (28 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), რ. დევისი (27 ქულა), დ. ვესტი (17 ქულა)

**ფინიქსი 112:94 ატლანტა**

**ფინიქსი:** მერიონი (20 ქულა, 8 მოხსნა), ჯ. ჯონსი (20 ქულა), დიაო (14 ქულა, 9 პასი), ჰაუსი (14), ნეში (10 ქულა, 7 პასი), ბელი (8 ქულა), კ. ტომასი (8 ქულა, 11 მოხსნა), ბურკი (8 ქულა), ჯ. ჯექსონი (7), ს. ფორდი (2), ტომპსონი (1)

**ატლანტა:** ზაზა ფაჩულია (4 ქულა, 4 მოხსნა, 2 დაკარგვა), ჯ. ჯონსონი (23 ქულა), მ. უილიამსი (17 ქულა, 11 მოხსნა), ს. სტუდემაიერი (14 ქულა), ჩილდრესი (12 ქულა), აივი (6 ქულა), ე. ჰარინგტონი (4 ქულა), ჯ. სმიტი (2 ქულა), ლიუ

**სიეტლი 107:102 ინდიანა**

**სიეტლი:** ალენი (25 ქულა, 6 მოხსნა), რ. ლიუისი (23 ქულა, 6 მოხსნა), მიურეი (18 ქულა)

**ინდიადა:** არტესტი (30 ქულა), ჯ. ონილი (22 ქულა), იასეკივიჩუსი (16 ქულა, 7 მოხსნა, 9 პასი)

**საკრამენტო 77:85 მინესოტა**

**საკრამენტო:** ბიბი (14 ქულა, 5 პასი), კ. ტომასი (11 ქულა), სტოიაკოვიჩი (10 ქულა, 6 მოხსნა)

**მინესოტა:** შერბიაკი (18 ქულა, 9 მოხსნა), ჰადსონი (17 ქულა), გარნეტი (11 ქულა, 10 მოხსნა)

*ცქიტიშვილი* განაცხადში არ იყო

**პორტლენდი 93:98 იუტა**

**პორტლენდი:** პატერსონი (19 ქულა), ტელფერი (19 ქულა), რენდოლფი (18 ქულა, 8 მოხსნა)

**იუტა:** ოქური (28 ქულა), ჰარპრინგი (20 ქულა), გირიჩეკი (15 ქულა)

**ლეიკერსი 99:98 შარლოტი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29 ქულა), მიმი (21 ქულა)

**შარლოტი:** ელი (20 ქულა), ნაითი (17 ქულა)

**კვლავ** წააგო ჩვენებრი ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“, ქართველმა კი ჯორჯიელთა მაისურით ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა. „ფინიქსთან“ შეხვედრაში არც არავინ ელოდა მოგებას, მაგრამ მოვლენების ასეთი განვითარება ძნელად წარმოსადგენი იყო.

ამ მატჩს დამატებით ინტრიგას ის სძენდა, რომ თავისი ყოფილი გუნდის პირისპირ ატლანტას უკანახაზელი ჯო ჯონსონი წარსდგა, რომელიც „ფინიქსიდან“ სამთვენახევრის წინ წამოვიდა.

„ფინიქსის“ გულშემატკივრებმა თავის ყოფილ კერპს ჯოჯოხეთი მოუწყვეს მოედანზე. ჯონსონი ბურთს შეეხებოდა თუ არა, სტადიონი გამაყრუებელ სტვენას იწყებდა, აპლოდისმენტები კი მხოლოდ მაშინ ისმოდა, როცა ჯო ბურთს დაკარგავდა, ანაც დააჯარიმებდნენ. მიუხედავად ამისა, ჯონსონმა მაინც მშვენივრად ითამაშა და თავისი ახალი გუნდის რიგებში ერთადერთი ნათელი წერტილი გახლდათ. მან ყოფილ გუნდთან 23 ქულა მოაგროვა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხარი ვერ აუბეს პარტნიორებმა. ასე განსაჯეთ, სასტარტო ხუთეულიდან ჰარინგტონმა და ფაჩულიამ 4-4 ქულა მოინაგრეს, ჯოშ სმიტმა კი — 2. ძირითადმა გამთამაშებელმა ტაირონ ლიუმ კი სულაც უქულოდ დატოვა მოედანი.

ასეთ პირობებში, ცხადია, ფინიქსს გამარჯვება არ გასჭირვებია. არიზონელებიდან თავი შონ მერიონმა და ჯეიმს ჯონსმა გამოიჩინეს 20-20 ქულით, ხოლო ჯონსონის მაგივრად ფინიქსში გადასულმა ბორის დიაომ თავის ყოფილ გუნდს 14 ქულა ჩაუგდო და თან 9 შედეგიანი გადაცემაც გააკეთა.

ფინიქსმა თავიდანვე მყარად იგდო ინიციატივა ხელთ და დიდი შესვენებისთვის 57:36 იგებდა, მეოთხე მეოთხედის დასაწყისში კი სხვაობა საერთოდ კატასტროფული გახდა — 88:51 არიზონელთა სასარგებლოდ.

„ატლანტას“ კალათბურთელებს, რომ არაფერი გამოსდიოდათ, ჯავრი მეტოქეზე და მსაჯებზე იყარეს. მესამე პერიოდის დასაწყისში ჯორჯიელმა ჯოშ სმიტმა ფინიქსელ რაჯა ბელს უთავაზა სახეში და გააგდეს კიდეც. აქედან ორ წუთში უკვე ზაზა გაფიცხდა და მსაჯს ბევრი ეკამათა, რის გამოც ზედიზედ 2 ტექნიკური მისცეს, რაც ავტომატურად გაგდების ტოლფასია.

მეოთხე მეოთხედი წმინდა ფორმალობა აღმოჩნდა. „ფინიქსის“ დამრიგებელმა მაიკ დანტონიმ მოედანზე რეზერვი შეუშვა და მათაც ხელი გამოიღეს, რის გამოც არიზონელთა არც ერთ მოთამაშეს მოედანი უქულოდ არ დაუტოვებია. „ატლანტას“ მწვრთნელ მაიკ ვუდსონს კი რაღა უნდა ექნა — ძირითადის ორი მოთამაშე აღარ ჰყავდა, ამიტომ ჯონსონი სკამზე დასვა, რათა მისი ობსტუქცია დასრულებულიყო და მოედანზე ახალბედები შეუშვა, რომელთაგან აქამდე არაფრის მქნელმა მარვინ უილიამსმა გაილაღა და პირველი ორმაგი დუბლიც ჩაიწერა აქტივში — 17 ქულა და 11 მოხსნა.

ზაზაზე კი რაღა დავამატოთ — როგორც უკვე იცით, მან 4 ქულა დააგროვა, ამას ზედ 4 მოხსნაც დააყოლა და მერე გააგდეს. მისი „ატლანტა“ კი ასე თუ გააგრძელებს, შარშან თავისსავე დამყარებულ ანტირეკორდს „გააუმჯობესებს“ — ეს არის სეზონში მოგებული მატჩების ყველაზე ცოტა რაოდენობა.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჯორჯიელებმა მხოლოდ 13-ჯერ იმარჯვეს.

სხვა მატჩებიდან უნდა გამოიყოს „ბოსტონის“ გამარჯვება „ნიუ იორკთან“. ეს „სელტიკისთვის“ სეზონში გასვლაზე მოპოვებული პირველი გამარჯვება აღმოჩნდა.

ცქიტიშვილის გარეშე მოთამაშე „მინესოტამ“ კი გასვლაზე საკრამენტოს მოუგო. გარნეტმა სეზონში უმცირესი, 11 ქულა მოაგროვა, მაგრამ უოლი შერბიაკის და ტროი ჰადსონის მეცადინეობით „ტიმბერვულვზმა“ მაინც იმარჯვა.

„ლეიკერსმა“ შინაურ „სტეპლს ცენტრში“ ძლივს მოუგო მაჩანჩალა „შარლოტს“. კობი ბრაიანტმა 30 ტყორცნიდან მხოლოდ 9 ჩააგდო კალათში, მაგრამ, სამაგიეროდ, თამაშის დამთავრებამდე 7 წამით ადრე ორი საჯარიმო შეასრულა უნაკლოდ და მატჩის გმირადაც იქცა.

**კახა ლომაშვილი**

DAVIS CUP by BNP PARIBAS

## დევისის თასი. ფინალი

# განსაკუთრებული დღე, განსაკუთრებული წარმატება




AFP ბრატისლავიდან

გამარჯვებულები: ნიკი პილიჩი, მარიო ანჩიჩი, ივო კარლოვიჩი, გორან ივანიშევიჩი, ივან ლიუბიჩიჩი და ITF-ის პრეზიდენტი ფრანჩესკო რიკიბიტი

*ხორვატიულ სპორტს, მიუხედავად ხანმოკლე ისტორიისა, წარმატებები არ აკლია. გასახსენებელი ბევრია: ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების წარმატება 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა ბრინჯაოს მედალოსანი გახდა; ხორვატ მოთხილამურე ქალ იანიცა კოსტელიჩის 2002 წელს სოლტ-ლეიკ სიტიში მოგებული სამი ოლიმპიური ოქროს მედალი. ხორვატთა ხელბურთის ნაკრების წარმატებები — ჯერ ევროპის ჩემპიონობა, ხოლო 2004 წელს ათენის ოლიმპიური ოქრო.*

*და აი, 2005 წლის 4 დეკემბერს ხორვატიული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი დიდი დღე დადგა — ხორვატიის საჩოგბურთო ნაკრებმა დევისის თასი მოიგო, რაც, ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონობის ტოლფასია*

**დევისის თასი**
**ბრატისლავა. სლოვაკეთი**
**მაგარსაფარი.**
**ფინალი**

პარასკევი

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — 6:3 6:4 6:3

**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — 7:6 6:3 6:7 6:4

შაბათი

ივან ლიუბიჩიჩი/მარიო ანჩიჩი — დომინიკ ჰრბატი/მიხალ მერტინაკი — 7:6 6:3 7:6

კვირა

**დომინიკ ჰრბატი** — ივან ლიუბიჩიჩი — 4:6 6:3 6:4 3:6 6:4

**მარიო ანჩიჩი** — მიხალ მერტინაკი — 7:6 6:3 6:4

**როგორც** ბევრი სპეციალისტი ვარაუდობდა, დევისის თასის 2005 წლის გათამაშების ფინალმა თანაბარ და მეტად დაძაბულ ორთაბრძოლაში ჩაიარა. გამარჯვებულის გამოვლენას ყველა, 5 თამაშის ჩატარება დასჭირდა. ამ უაღრესად დაძაბულ, სამდღიან დაპირისპირებაში ხორვატებმა შეძლეს სლოვაკების დამარცხება.

ყველაფერი პარასკევს დაიწყო, როცა ხორვატთა ლიდერი ივან ლიუბიჩიჩი გამოცდილ სლოვაკ კაროლ კუჩერას დაუპირისპირდა, რომლის გამოჩენაც ერთობ მოულოდნელი იყო —წესით, კაროლ ბეკს უნდა ეთამაშა. მაგრამ, სლოვაკთა სამწუხაროდ, ბეკმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი დაიშავა, რის გამოც მასპინძლები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ივან ლიუბიჩიჩს ვეტერანი და სპორტიდან თითქმის წასული კუჩერას დამარცხება არ გასჭირვებია. ხორვატმა სამ სეტში იმარჯვა. თუმც პარასკევი მაინც თანაბარი ანგარიშით ჩათავდა, ვინაიდან სლოვაკთა მთავარმა იმედმა დომინიკ ჰრბატიმ 4 სეტში მოუგო მარიო ანჩიჩს და სტატუს-კვოც აღადგინა.

შაბათს წყვილებს უნდა ეთამაშათ. როგორც წესი, ეს გადამწყვეტი მატჩია ხოლმე, ვინაიდან 2:1-დან თამაშის შემობრუნება, მით უმეტეს, ფინალში, ძალიან ძნელია. ასეთი რამ დევისის თასის ისტორიას სულ სამი შემთხვევა ახსოვს, უკანასკნელი კი 2002-ში მოხდა, როცა რუსებმა მარატ საფინისა და მიხაილ იუჟნის მეცადინეობით, პარიზში ფრანგებს შემოუტრიალეს თითქმის წაგებული ფინალი.

წყვილების მატჩში ხორვატებმა საკმაოდ იოლად, სამ სეტში იმარჯვეს და კვირა დღეს აშკარა ფავორიტების რანგში შეხვდნენ, სლოვაკებმა კი რუსების გმირობა ვერ გაიმეორეს.

ბევრი მოელოდა, რომ ყველაფერი ბოლო სათამაშო დღის პირველივე მატჩში გადაწყდებოდა და ივან ლიუბიჩიჩი საქმეს მეხუთე მატჩამდე არ მიიყვანდა. თუ ხორვატი შეძლებდა ჰრბატის დამარცხებას, ის გაიმეორებდა 1982 წელს ჯონ მაკინროის მიერ დამყარებულ რეკორდს — დევისის თასის ერთი გათამაშების განმავლობაში 12 გამარჯვება და არც ერთი მარცხი. მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად ჰრბატიმ ბრწყინვალე თამაში აჩვენა, ლიუბიჩიჩს კი მხოლოდ ამ მატჩში დაეტყო განვლილი მძიმე სეზონის კვალი, რაც ხორვატს მატჩის წაგებად დაუჯდა. ანგარიში 2:2 გახდა და ყველაფერი მეხუთე მატჩს უნდა გადაეწყვიტა.

სწორედ აქ გამოჩნდა, რომ კაროლ ბეკი უაღრესად საჭირო იყო მასპინძლებისთვის. სლოვაკთა კაპიტანმა მილოსლავ მეჩირჟმ აღარ გარისკა კაროლ კუჩერას კორტზე გაშვება და მარიო ანჩიჩის წინააღმდეგ სათამაშოდ მიხალ მერტინაკი გაუშვა.

აქ უკვე აშკარა იყო ხორვატის უპირატესობა კლასში. ანჩიჩი გაცილებით ძლიერი და, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, უფრო გამოცდილი მოთამაშეა, ვიდრე მერტინაკი. კი, ამ უკანასკნელს ტრიბუნების გიჟური მხარდაჭერა არ აკლდა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. ანჩიჩმა მეტოქე სამ სეტში (რომელიც თითქმის 3 საათს გრძელდებოდა) დაამარცხა და ხორვატიას დევისის თასი მოაგებინა.

„ვგრძნობდი, რომ მე ვაკონტროლებდი ვითარებას — ამბობს მატჩის გმირი მარიო ანჩიჩი. — ეს განსაკუთრებული დღეა, განსაკუთრებული წარმატებაა".

არანაკლებ გახარებული იყო ივან ლიუბიჩიჩიც, რომელმაც დომინი ჰრბატის არ დაუკარგა თავგამოდება:

„დღეს ძალიან ცუდად ვიყავი და, საერთოდ, არ მინდოდა კორტზე გასვლა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, მეთამაშა. სამწუხაროდ, წავაგე, დომინიკი კი დიდებულად გამოიყურებოდა... კიდევ კარგი, მარიომ მოიგო, თორემ წლეულს ნაშრომი წყალში გადამეყრებოდა".

ყველაზე მეტად კი ხორვატიული ჩოგბურთის ლეგენდას, გორან ივანიშევიჩს უხაროდა, რომელიც ძალიან ემოციურად აღნიშნავდა თანამემამულეთა წარმატებას.

ასევე აღსანიშნავია ხორვატთა კაპიტან ნიკი პილიჩის დამსახურება, რომელმაც, მართლაც, კარგად უხელმძღვანელა თავის ხელქვეითებს.

სხვათა შორის, პილიჩს დევისის თასი სამჯერ — 1988, 1989 და 1993 წლებში -- მოუგია გერმანიის ნაკრების კაპიტნის რანგში, მაგრამ ამ წარმატებამ ის განსაკუთრებით გაახარა:

„რა შედარებაა, — თქვა პილიჩმა. — დღეს ჩემი ხალხისთვის მოვიგე".

ხორვატია კი მე-12 ნაკრები შეიქნა, რომელიც დევისის თასს დაეუფლა.

**კახა ლომაშვილი**




მარიო ანჩიჩს გამარჯვება პირველად ივან ლიუბიჩიჩმა მიულოცა

AFP ბრატისლავიდან




ხორვატები ასე ზეიმობდნენ დევისის თასის მოგებას

# ყველას მერალემ აჯობა

რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ფრანგმა სებასტიენ ლოებმა პარიზში, „სტად დე ფრანსის“ სტადიონზე ტრადიციული ავტოშოუ — „ჩემპიონთა რბოლა“ მოიგო.

50 000 მაყურებელი მოწმე გახდა 31 წლის სიტროენელის წარმატებისა, რომელმაც წინასწარი გაქროლებებიც გამარჯვებით დაასრულა, სუპერფინალის სამცდიან სერიაში კი დამაჯერებლად სძლია დანიელ ტომი კრისტიანსენს.

„ცხადია, სასიამოვნო იყო 2003 წელს ჩემპიონთა რბოლის მოგება კანარის კუნძულებზე, მაგრამ დღეს პარიზში გამარჯვება ამდენი ზეემოციური ქომაგის თვალწინ, რომელთა მხარდაჭერას მანქანაშიც კი ვგრძნობდი, სულ სხვაა“ — თქვა გამარჯვების შემდეგ ლოებმა.

შერცხვნენ ფორმულა 1-ის წარმომადგენლები: დევიდ კულჰარდი, ფელიპე მასა, ჟან ალეზი და კრისტიან ალბერსი წინასწარ ეტაპზე გამოეთიშნენ ბრძოლას.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი გაჯიბრება მოიგო ფინელმა ჰეიკი კოვალაინენმა, რომელიც მომავალ წელს „რენოს“ ტესტ-პილოტი იქნება.

**გია ახალაძე**






**მსოფლიოს თასი**

**ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 17 დეკემბერი**

**მესამე ეტაპი. ტაიბრეიკი**

| | | |
|---|---|---|
| ლევან ფანცულაია (საქართველო) | 2:3 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 2,5:1,5 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |

*მოცემულია საერთო ანგარიში*

# ქართველებმა ხანტი-მანსიისკში ჩაილურის წყალი დალიეს

**ქართველი** მოჭადრაკეები გათამაშებას გამოეთიშნენ. ბაადურ ჯობავამ რუსი სერგეი რუბლევსკის ბარიერი ვერ გადალახა, ლევან ფანცულაიამ კი ებრაელი ბორის გელფანდის.

ტაიბრეკი ყველაზე ადრე ჯობავამ დაასრულა.

პირველ შეხვედრაში თეთრი ფიგურები რუბლევსკის ერგო. დებიუტში იგი ცენტრის განვითარებას შეუდგა, მსუბუქი ფიგურები გამოყარა წინ და შავებს შეუტია. საპასუხო იერიშები ჯობავამაც დაიწყო, თუმც თეთრების გამაგრებულ ალაგს ვერაფერი ავნო, დარტყმა აქეთ მიიღო და 47-ე სვლაზე ხელები აწია. განმეორებით შეხვედრაში თეთრებით მოთამაშე ჯობავამ ვერაფერი გააწყო მეტოქესთან და მე-16 სვლაზე მისთვის დამღუპველ ყაიმს დაჰყაბულდა.

ბევრი იბრძოლა ფანცულაიამ, თუმც გამოცდილი გელფანდი მაინც ვერ დაჯაბნა. პირველი შეხვედრა ებრაელმა თეთრებით მოუგო ქართველს, თუმც განმეორებითში ფანცულაიამ რევანში აიღო, 38-ე სვლაზე იმარჯვა და მთავარი ბრძოლები მესამე, დამატებით ბლიცშეხვედრაში გადაიტანა.

სამწუხაროდ, აქ თეთრები ებრაელს ერგო, პარტიაც მისი უპირატესობით წარიმართა და 47-ე სვლაზე მომდევნო ეტაპის საგზურიც მოიგო.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ავსტრალიელი და ავსტრიელი ყველაზე მალე ავიდნენ „ტაიპეი 101“-ზე

**30 წლის** ავსტრალიელმა პოლ კრეიკმა ყველაზე მალე აირბინა მსოფლიოს უმაღლესი შენობის — ცათამბჯენ „ტაიპეი 101“-ის საფეხურებზე მოწყობილი სპრინტის დროს.

ავსტრალიელმა 70 მორბენალს აჯობა, გასამარჯვებლად კი 91-სართულიანი შენობის 2046 საფეხურის ავლა დასჭირდა, რაც 10 წუთსა და 29 წამში მოახერხა. კრეიკმა, რომელიც „ემპაირ სტეიტ-ბილდინგში“ მოწყობილი შეჯიბრების ხუთგზის გამარჯვებულია, 5920 დოლარი მიიღო.

ქალებს შორის ანალოგიური შეჯიბრში ავსტრიელმა ანდრეა მაირმა იმარჯვა. მან ამას 12 წუთი და 38 წამი მოანდომა, რისთვისაც იგივე საპრიზო თანხით შეივსო პირადი ანგარიში.

სხვათა შორის, „ემპაირ სტეიტ ბილდინგის“ შეჯიბრი მაირსაც მოუგია.

დაწესებული 30 000 დოლარი ვერც კრეიკმა მოიგო და ვერც მაირმა. ამისთვის პირველი 10, მეორე კი 12 წუთში უნდა ჩატეულიყო.

„ტაიპეი 101“-ის სიმაღლე 508 მეტრია. იგი, 2003 წელს ააშენეს, თუმც 2007 წლისთვის, როცა ჩინელი ინჟინრები შანხაიში მსოფლიოს ფინანსურ ცენტრზე მუშაობას დაამთავრებენ, აღარ იქნება ყველაზე მაღალი შენობა.

საინტერესოა, რომ აქამდე ასეთივე შეჯიბრებები ჩიკაგოს „სირს ტაუერში“, ტორონტოს „სი-ენ ტაუერსა“ და თელ ავივის „ეზრიელი ტაუერშიც“ ჩატარდა.

**კახა ლომაშვილი**





NHL

**რეგულარული ჩემპიონატი**

# აღმოსავლეთელებმა ვალი დააბრუნეს



„ბაფალო“ ასე ზეიმობდა „კოლორადოს“ დამარცხებას

4 დეკემბერი

**კოლორადო 4:6 ბუფალო**

*1:4 1:0 2:2*

**0:1 გოსტადი (3), 1:1 სკრასტინში (12), 1:2 ჰეხტი (1:), 1:3 პომინვილი (18), 1:4 გრირი (19), 2:4 ბლეიკი (38), 3:4 ტანგეი (47), 4:4 სვატოში (49), 4:5 როი (58) 4:6 დრური (60)**

**დასავლეთის** კლუბებმა ღირსეული წინააღმდეგობა რომ გაუწიეს უფრო ძლიერად შერაცხულ აღმოსავლელ კონკურენტებს, იცით. აღმოსავლეთელებმაც არ დააყოვნეს და „ვალი“ კვირასვე დააბრუნეს, თან ლიდერები შეარცხვინეს.

განსაკუთრებით საწყენი „კოლორადოს“ მარცხია, რადგან პირველი პერიოდის შემდეგ მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს სამშაიბიანი დეფიციტის აღმოსაფხვრელად. მას შემდეგ, რაც მარეკ სვატოშმა ბულიტი ჩინებულად შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა, ინიციატივა მთლიანად მასპინძელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ მერე რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი გააცუდეს, ტემპი დააგდეს და „ბუფალოსაც“ მეტი რა უნდოდა, ისარგებლა.

ისე, „ხმლები“ ამ სეზონში კარგად ასპარეზობენ და ბოლო 10 მატჩში 8 მოგების შემდეგ აღმოსავლეთის ცხრილის საფეხურებზე აინაცვლეს.

**დეტროიტი 1:2 აილენდერსი**

*1:1 0:0 0:1*

**1:0 შნაიდერი (5), 1:1 იაშინი (19), 1:2 იორკი (57)**

**კვირა** „დეტროიტისთვისაც“ შავად გათენდა. არადა, „წითელფრთიანებს“ 6 წელიადია, „აილენდერსთან“ შინ არ წაეგოთ. ჰოდა, დასრულდა იღბლიანი სერია, რაშიც სწორედ დეტროიტის გარეუბანში დაბადებული აილენდერსელი მაიკ იორკის ხელი ურევია.

**ვანკუვერი 5:2 ბოსტონი**

*2:0 0:2 3:0*

**1:0 ლინდენი (5), 2:0 დ. სედინი (15), 2:1 ისბისტერი (29), 2:2 შტურმი (35), 3:2 მორისონი (45), 4:2 კესლერი (46), 5:2 დ. სედინი (59)**

# ხმაურიანი და მოულოდნელი

## ტორნტონმა ტყავი გამოიცვალა

**ამიერიდან** ლიგაში ორი ოჯახური დუეტი შეიქმნა. ოღონდ თუ „ანაჰაიმში“ ალალი ძმები, სკოტ და რობ ნიდერმაიერები ასპარეზობენ, მეზობელ „სან ხოსეს“ რიგებს ბიძაშვილები, სკოტ და ჯო ტორნტონი იცავენ. ყოველივე ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ოთხშაბათს „ბოსტონმა“ და „სან ხოსემ“ ხმაურიანი და მეტად მოულოდნელი ტრეიდი განახორციელეს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ „დათვების“ ლიდერი და კაპიტანი ჯო ტორნტონი კლუბს გამოიცვლიდა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ზაფხულში მან გუნდთან 3-წლიანი და 20-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა.

თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, თითქოს სეზონიც ტორნტონმა კარგად დაიწყო. მის ანგარიშზე 9 გოლი და 24 პასი ირიცხებოდა, მაგრამ დაკვირვებული ქომაგი აშკარად შეამჩნევდა, რომ წინა წლებთან შედარებით ჯოს პეწი დაეკარგა.

მოკლედ, გაცვლა მომწიფებული იყო და „ზვიგენების“ ვარიანტი მეტად დროული აღმოჩნდა.

„ტორნტონის დარი მოთამაშეების შეძენა განა ყოველდღეა შესაძლებელი, ამიტომ ასეთი შანსის ხელიდან გაშვება უაზრობა იყო“, — თქვა „სან ხოსეს“ გენერალურმა მენეჯერმა დუგ უილსონმა. თავის მხრივ, „ბოსტონის“ მესვეურებმაც აღნიშნეს, რომ ტორნტონის გაცვლა მძიმე, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი იყო. მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტრეიდი ორივე გუნდისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. „სან ხოსემ“ ძლიერი გამთამაშებელი და ექსტრაკლასის მოთამაშე შეიძინა, „ბოსტონმა“ კი — სამი საკმაოდ მაღალი დონის ჰოკეისტი, თანაც სხვადასხვა ამპლუის: ცენტრფორვარდი პატრიკ მარლო, გარემარბი მარკო შტურმი და მცველი ბრედ სტიუარტი. აქედან გამორჩეული მარლოა, რომელსაც ელიტარული მოთამაშედ ქცევის ყველა წინაპირობა აქვს.

**სამველ ლარიბიანი**

# მოსერფის სიკვდილი

ეს ფოტო გასულ ზაფხულს ტეჰუპოშია გადაღებული. ტაიტელი მოსერფე მალიკ ჟოიუ ტალღებზე ვარჯიშობს. მალიკი პარასკევს ჰავაის წყლებში სერფინგობისას დაიღუპა.






# სამხრეთული კრიკეტობა

ოკლენდის იდენ პარკში გახურებულა კრიკეტი ახალზელანდიელებსა და ავსტრალიელებს შორის. მიზანი ჩეპელ-ჰედლის ტრადიციული თასია. ზელანდიელი კაილ მილსი მთელი ოსტატობით ტყორცნის ბურთს, ოზი ბრედ ჰოგი კი ტაფელით უხვდება.

# ტაი-ბურთი

ტაილანდი და ინდონეზია ერთმანეთს ფეხბურთს ეთამაშებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თამაშების ტურნირში. ეს დიდი ფორუმი უკვე 23-ედ ტარდება, ამჯერად ფილიპინებზე. ტაი-ინდონეზიელთა ბურთაობა კი უფრო ტაილანდურ კრივს ჰგავს, ვიდრე ფეხბურთს.



AFP ბაკოლოდიდან



AFP ოსაკიდან

# გამარჯვებულები

ოსაკაში ენეიჩქეის თასის გათამაშება გრძელდება ფიგურულ სრიალში. თავისუფალი ცეკვების შეჯიბრი ამ გრაციოზულმა კანადურმა წყვილმა, მარი-ფრანს დუბრიულმა და პატრის ლუზონმა მოიგეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge